ISSN 0130 1624

F 412
1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დილაობა

მაისი
№ 5 1980 წ.



ძეგლთმოსილი

გრიგოლ აბაშიძე

ქართველ მებრძოლ მელიტონ ჭანთარიას, რომელმაც რაიხსტაგზე ჩვენი გამარჯვების დროშა აღმართა.

არ დავიღალე ცეცხლის უღელში,
მე მოვდიოდი ერთი ნუგეშით,
მე მოვდიოდი იმედით სავსე,
ხელებდამწვარი ყინვით და თოშით,
რომ დავდგებოდი ბერლინის თავზე
სამშობლოს დროშით.

მიტომ გადავრჩი დაჭრილი ასგან,
მიტომ დავტოვე ყანა და დაზგა,
მაღაროებში ლოდების ხეთქვა,
ჩემი ნიგნი და ჩემი მაგიდა,
რომ გამარჯვების სალამი მეთქვა
რაიხსტაგიდან.

ამ იმედს გული არსად ჰკარგავდა
და მტერს რომ ერთხელ დავკარ
კავკავთან,
მერე კვალდაკვალ მივსდიე აფთარს,
გზა გავიარე საზღაპროდ დიდი,
ტყეს და მდინარეს, სიცხეს და
ავდარს
არაფრად ვთვლიდი.

ამ გზას რომ გავცქერ, ახლა თვით
მიკვირს,
როგორ გადვურჩი ტყვიას და
სიკვდილს!
რა ახლო იყო სიცოცხლის მწუხრი
რა ძნელი იყო გვამებზე ხოხვა!
ქარს დაეღალა ამ გზაზე მუხლი,
ქარიც ვერ მომყვა!

ვერ მომყვა წვიმის ღრუბელიც
მძიმე,
მე მოვყვებოდი ბრწყინვალე იმედს,
თავი ამაყად მეჭირა მაღლა,
მე ამ დიდ გზაზე არ დავიღალე,
მე არ ვიცოდი, რა არის დაღლა,
რაა სიმხდალე!

ამ გზაზე მე არ შემისვენია,
ეს გზა სისხლით და ცრემლით
სველია.
ტყვიით დაჭრილნი, ნაღმით
დაჭრილნი
გზას მილოცავდნენ, ისე გმინავდნენ,
გზას მინათებდა მათი აჩრდილი
თვით ბერლინამდე.

და მომძახოდნენ მკვდრების
გუნდები:
„თუ გამარჯვებით არ დაბრუნდები,
თუ არ დალეწე მტარვალთა ბუდე,
ეს შეჩვენება მარად გახსოვდეს:
შენს ქვეყანაში აღარ დაბრუნდე
აღარასოდეს!“

ერთგული ვიყავ მშობელი მინის,
მე შევასრულე აღთქმა და ფიცი,
მე გადვიტანე მრავალი ჭირი,
სამშობლო რომ არ გადამთელოდა,
რომ მოვსულიყავ ბერლინში გმირი
საქართველოდან.

სახელით მე არ მიცნობს არავინ,
მე ერთი ვარ და ვარ უთვალავი,
მე ერთად მქვია ყველას სახელი,
ხმალმა და ტყვიამ ვინც მომაცილეს,
ვინც ამ გრიგალის იყო მნახველი
და მონაწილე.

მე ის ვარ, ვისაც სატრფო მოელის,
ვისთვისაც ღამეს ათევს მშობელი,
ვინც შინ ბრუნდება ძლევამოსილი,
ვინც ბოლო მისცა ცრემლებს და
გლოვას.
დე, მისიც იყოს ჩემი ქორწილი,
ვინც ვეღარ მოვა!

1945 წ.

დიადი გაბედვა

დავით ჯაბიძე,
საბჭოთა კავშირის გმირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16.408

საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა, მიმდინარე წლის 9 მაისს ზეიმობს დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების 35-ე წლისთავს.

ჩვენი ქვეყანა ფაშისტ დამპყრობლებთან ომში მიზნად ისახავდა საბჭოთა ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, მისი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დაცვას, გერმანელი დამპყრობლების მიერ დამონებული ხალხების განთავისუფლებას. ჩვენი ხალხის ამ კეთილშობილურმა მიზნებმა საჭირო და აუცილებელი გახადა ქვეყნის მატერიალური, სულიერი ძალების მობილიზაცია, ფაშისტთა შემოტევის შეჩერება, მისი უკუგდებისა და განადგურების ორგანიზაცია. ამ ისტორიული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა იოსებ ბესარიონის ძე სტალინი. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ხელში გადავიდა ქვეყნის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება, ჩვენი ხალხის ბედ-იღბალი.

საბჭოთა ხალხი აღსდგა დიდი სამამულო ომისათვის და პარტიის მოწოდებით ერთსულოვნად ჩაება ფაშისტ აგრესორებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი მოსახლეობის 15 პროცენტი იარაღით ხელში დადგა სამშობლოს დასაცავად. სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის სათავეში კომუნისტები და კომკავშირელები იდგნენ. პარტიამ თავისი რიგებიდან 1.600 ათასი, ანუ მთელი შემადგენლობის 50 პროცენტი ჩააყენა სამშობლოს დამცველთა რიგებში. კომკავშირმა, რომელიც თავის რიგებში 9 მილიონ ჭაბუკსა და ქალიშვილს ითვლიდა, მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბა 3.500 ათასი კომკავშირელი.

დიდი რუსი ხალხის, ჩვენი ქვეყნის სხვა მოძმე ხალხების მხარდამხარ ასეულ ათასობით ქართველი იბრძოდა ვერაგი მტრის წინააღმდეგ. არ ყოფილა ფრონტის ისეთი უბანი, ჯარის ისეთი სახეობა, სადაც გმირობითა და მამაცობით თავი არ ესახელებინოთ ქართველი ხალხის შვილებს. საბჭოთა საქართველომ 650 ათასზე მეტი მეომარი გაგზავნა სამშობლოს დასაცავად, ჩვენი რესპუბლიკის იმდროინდელი მოსახლეობის 21 პროცენტი იარაღით ხელში იცავდა ოქტომბრის მონაპოვარს. საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ 54 ათასზე მეტი კომუნისტი, ე. ი. თავისი შემადგენლობის 54 პროცენტი გაგზავნა სამშობლოს დასაცავად. საქართველოს კომკავშირმა თავისი რიგებიდან 62 პროცენტი, ანუ 170 ათასზე მეტი კომკავშირელი გაიწვია მტერთან საბრძოლველად.

მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის მასობრივი გმირობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის ჭეშმარიტი გამოვლინება იყო ბრესტის ციხესიმაგრის მცირერიცხოვანი გარნიზონის დაცვა. 30-ზე მეტი დღე-ღამის განმავლობაში უმკლავდებოდა იგი გერმანელთა განუწყვეტელ შეტევებს. გმირი ბასტიონის კედლებთან და სარდაფებთან გააფთრებულ ბრძოლებში ერთმანეთს შეერწყა დიადი სამშობლოს 30 ერისა და ეროვნების შვილთა დაღვრილი სისხლი. რუსი ა. ვინოგრადოვის, უკრაინელი რ. სემენიუკის, ბელორუსი ვ. შებლოვსკის, სომეხი ს. მათეოსიანის და სხვა ერთა შვილების გვერდით იბრძოდა მრავალი ჩვენი თანამემამულე.

900 დღე-ღამე გრძელდებოდა ლენინგრადის დაცვა. მარტო 1941 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ფაშისტებმა ქალაქს ესროლეს და ჰაერიდან დააყარეს 24.184 საარტილერიო ჭურვი, 65.000 ცეცხლგამჩენი და 3.600-ზე მეტი ფუგასური ბომბი. ალყაშემორტყმულ ქალაქში ყინვითა და შიმშილით მარტო 1942 წლის იანვარში ყოველდღიურად 4.000-ზე მეტი ადამიანი კვდებოდა. უცრემლოდ ვერ წაიკითხავ 10 წლის გოგონას ტანია სავიჩევას დღიურს, ალყაშემორტყმული ლენინგრადის საშინელებას რომ წარმოგვიდგენს: „1941 წლის 28 დეკემბერს, დღის 13 საათსა და 30 წუთზე გარდაიცვალა ჩემი ბიცოლა ჟენია, 1942 წლის 25 იანვარს, დღის 3 საათზე გარდაიცვალა ბებია. 1942 წლის 17 მარტს, დილის 5 საათზე გარდაიცვალა ჩემი და ლენა, 1942 წლის 15 აპრილს, დღის 3 საათზე გარდაიცვალა ბიძია ვასია, 1942 წლის 13 მაისს, 7 საათსა და 30 წუთზე გარდაიცვალა დედა. სავიჩევების ოჯახში არავინ დარჩა, ისინი დაიხოცნენ შიმშილისაგან. დავრჩი მხოლოდ მე — ტანია“. აქ წყდება პატარა ტანია სავიჩევას ჩანაწერები. ალბათ ისიც შეიწირა ფაშისტების უკუღმართობამ, დარჩა მხოლოდ მისი დღიურები.

ლენინგრადის ბლოკადის დროს შიმშილისა და სიცივისაგან 641.803 ლენინგრადელი დაიღუპა, მაგრამ ვერაფერმა გატეხა ლენინგრადის მცხოვრებლები და გმირი ქალაქის დამცველები. ლენინის ქალაქი შეუვალ ციხესიმაგრედ იდგა. შიმშილის, სიცივისა და განუწყვეტელი დაბომბვის მიუხედავად, ლენინგრადი იბრძოდა, შრომობდა, აშენებდა, იმარჯვებდა.

სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ხალხის გმირულ ისტორიაში ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის მოსკოვის დაცვა. 1941 წლის ოქტომბრის დასაწყისში გერმანელებმა დაიწყეს მოსკოვზე გენერალური შეტევა — ვერმახტის საგანგებო მოწოდებით: „ჯარისკაცებო, თქვენ წინ მოსკოვია! ორი წლის განმავლობაში ევროპის კონტინენტის ყველა დედაქალაქმა ქედი მოიხარა თქვენს წინაშე. დარჩა მხოლოდ მოსკოვი. აიძულეთ ისიც, ქედი მოიხაროს, უჩვენეთ მას თქვენი იარაღის ძალა. გაიარეთ მის მოედნებზე. მოსკოვი — ეს ომის დასასრულია.“

მაგრამ ჰიტლერელთა ვარაუდი დაიმსხვრა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24-ე წლისთავისადმი მიძღვნილმა მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომამ მსოფლიოს აუწყა, რომ მოსკოვში იმყოფება და მის დაცვას ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტიის გენერალური შტაბი — მისი ცენტრალური კომიტეტი. ი. ბ. სტალინმა თავის მოხსენებაში საზეიმო სხდომაზე ანალიზი გაუკეთა ომის ოთხი თვის შედეგებს, ცხადყო წითელი არმიის დროებითი წარუმატებლობის მიზეზები, დაასაბუთა ფაშისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების განადგურების გარდუვალობა.

მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომამ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 5 (521). მაისი, 1980

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1980 წ.

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ხუტა ბერულავა

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე, თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, რევაზ მარგიანი, დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.

და წითელ მოედანზე წითელი არმიის ისტორიულმა პარადმა მტერზე გამარჯვების რწმენა განუმტკიცა საბჭოთა ადამიანებს, ახალი შრომითი და საბრძოლო გმირობისათვის განაწყო ისინი.

მოსკოვის მისადგომებთან გერმანელთა სასტიკმა დამარცხებამ საბოლოოდ დაასამარა ფაშისტური არმიის უძლეველობის მითი. ეს იყო მეორე მსოფლიო ომში გერმანელთა პირველი მძიმე დამარცხება და საბჭოთა სამხედრო-ოპერატიული ხელოვნების ტრიუმფი.

1942 წლის გაზაფხულისათვის ფაშისტებს ფრონტზე ახალი შეტევითი ოპერაციების გაშლის ხელსაყრელი შესაძლებლობა მიეცათ. აგვისტოს ბოლო რიცხვებში შეტევაზე გადმოსული გერმანელთა ჯარები სტალინგრადისაკენ გაიჭრნენ. დაიწყო სტალინგრადის გმირული დაცვის ისტორიული ბრძოლები. 162 დღე-ღამის განმავლობაში გრძელდებოდა სისხლისმღვრელი შერკინება ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე. სამშობლოსათვის თავგანწირვის, გმირული შემართებისა და მამაცობის ნიმუშად იქცა „პავლოვის სახლის“ მცირერიცხოვანი გარნიზონის უძლეველობა. ამ პატარა — 24-კაციანმა გარნიზონმა, რომელიც 59 დღე-ღამის განმავლობაში უმკლავდებოდა გერმანელთა გააფთრებულ შეტევებს, იმდენი ზარალი მიაყენა მტერს, რამდენიც მას პარიზის აღების დროსაც არ განუცდია. ლეგენდარული „პავლოვის სახლის“ დამცველთა შორის ჩვენი დიადი სამშობლოს 22-ზე მეტი ერისა და ეროვნების შვილები იბრძოდნენ. აქ თავიანთი მამაცობით თავი ისახელეს ჩვენმა თანამემამულეებმა ნიკოლოზ მოსიაშვილმა, გაიოზ სტეფანოშვილმა და აფხაზმა სუკბამ.

სტალინგრადთან გერმანელთა 300 ათასიანი არმიის ალყაში მოქცევა, მისი სრული ლიკვიდაცია, საბჭოთა სამხედრო-ოპერატიული ხელოვნების უბადლო მაგალითი იყო. ეს იყო ძირეული გარდატეხის დასაწყისი არამარტო დიდ სამამულო ომში, არამედ მეორე მსოფლიო ომის მთელ მსვლელობაში.

კავკასიის დაცვისა და განთავისუფლებისათვის ბრძოლა სამხედრო ხელოვნებაში დარჩება როგორც მთის უმძიმეს პირობებში საბჭოთა ჯარების თავდაცვითი და შეტევითი ბრძოლების ურთულესი კომპლექსი. კავკასიისათვის ბრძოლამ მსოფლიოს უჩვენა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური ერთიანობის, დიადი ლენინური მეგობრობის კიდევ ერთი ტრიუმფი. კავკასიას იცავდნენ რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, უზბეკები, ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, აფხაზები, ჩვენი სამშობლოს სხვა ხალხთა შვილები.

კავკასიის დაცვისა და განთავისუფლებისათვის თავგანწირული ბრძოლების ბრწყინვალე ნიმუშია ნოვოროსიისკისა და „მცირე მიწის“ გმირული ეპოპეა, რომელიც ესოდენ შთამბეჭდავად არის გადმოცემული ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოგონებაში „მცირე მიწა“.

კურსკის ბრძოლით დამთავრდა ძირეული გარდატეხა დიდი სამამულო ომის მსვლელობაში. კურსკთან საბჭოთა არმიის ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ გერმანელებმა ვეღარ შეძლეს აღმოსავლეთის ფრონტზე სტრატეგიული შეტევის წამოწყება.

უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმის შესაბამისად — წითელმა არმიამ თანმიმდევრული დარტყმებით გაანადგურა გერმანელთა რჩეული დივიზიები უკრაინაში, ლენინგრადთან, ყირიმში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთში, იმიერპოლარეთში და გაანთავისუფლა მშობლიური მიწა-წყალი ფაშისტთა დამპყრობლებისაგან. საბჭოთა ჯარები მალე განმათავისუფლებელი მისიით შევიდნენ რუმინეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, პოლონეთის, ფინეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ნორვეგიის, ავსტრიისა და გერმანიის ტერიტორიებზე.

ომი დამთავრდა იქ, საიდანაც იგი მოვიდა. დიდ სამამულო ომში მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ძმური ერთიანობის, მეომრული შემართების, სამშობლოსათვის თავდადების ნათელ სიმბოლოდ იქცა გამარჯვების დროშა, რომელიც რაიხსტაგზე აღმართეს საბჭოთა კავშირის გმირებმა მ. ეგოროვმა და მ. ქანთარიამ.

გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის ომი საყოველთაო-სახალხო ომი იყო. საბჭოთა ადამიანები თავიანთი სამშობლოს ღირსებას იარაღით ხელში იცავდნენ არა მარტო ფრონტზე, არამედ მტრის ღრმა ზურგშიც — გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

ასრულებდა რა თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას, მრავალი საბჭოთა მოქალაქე მონაწილეობდა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში: პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში და სხვ. ხალხის ხსოვნაში მარად იცოცხლებს სახელები იტალიის ანტიფაშისტური ბრძოლის გმირების — თევდორე პოლეტაევის და ფორე მოსულიშვილისა, რომელთაც იტალიის მთავრობამ იტალიის ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა, ხოლო საბჭოთა მთავრობამ თევდორე პოლეტაევს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიაკუთვნა, ფორე მოსულიშვილი კი დიდი სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

ფაშიზმზე მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება იჭედებოდა მილიონობით საბჭოთა მუშის, გლეხის, ინტელიგენტის ბეჯითი შრომით ზურგში. მტერზე გამარჯვების საერთო ინტერესებმა ერთიანი გახადა ფრონტი და ზურგი. ეს აასკეცებდა მტერზე წითელი არმიის დარტყმის ძალას.

დიდი სამამულო ომის ისტორიულმა გამოცდილებამ მკაფიოდ გვიჩვენა სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობანი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სიცოცხლისუნარიანობა.

ლ. ი. ბრეჟნევი ფაშიზმზე გამარჯვების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე ამბობდა: „პარტიის ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ გაუძლო ომის განსაცდელს. ფაშიზმმა განხეთქილება ვერ ჩამოაგდო სოციალისტურ ერებს შორის. მათმა ძმურმა კავშირმა ცხადყო თავისი ძალა და ცხოველმყოფელობა, იგი ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო“.

ამ ომში ყველაზე დიდი მსხვერპლი საბჭოთა კავშირმა გაიღო. მან 20 მილიონი ადამიანი დაკარგა მოკლულთა სახით. აქედან 10 მილიონი ბრძოლის ველზე დაეცა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ომის მთელ მანძილზე 405 ათასი კაცი დაკარგა, ინგლისმა — 375 ათასი კაცი...

საქართველოს 300 ათასამდე მკვიდრი არ დაბრუნებულა შინ, რაც რესპუბლიკის იმდროინდელი მოსახლეობის 10 პროცენტს აღემატება და რესპუბლიკიდან მობილიზებულ მებრძოლთა საერთო რაოდენობის 46 პროცენტს შეადგენს.

ბევრი ცრემლი დაღვარეს შინმოუსვლელთა მშობლებმა, ცოლ-შვილმა, ახლო ნათესავებმა. გლოვა და მწუხარება შემოეხვია ჩვენი ქვეყნის სოფლებსა და ქალაქებს, მილიონობით საბჭოთა ოჯახს. მაგრამ საბჭოთა ადამიანები თავს ინუგეშებენ იმით, რომ შინმოუსვლელებმა თავიანთი სიცოცხლე მიიტანეს სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერების საკურთხეველზე.

„ომის მრისხანე, სიკვდილის საფრთხით აღსავსე წლები არ ამოიშლება ხალხის მეხსიერებაში, — აღნიშნავდა ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის ერთ-ერთ კრებაზე, — მუდამ გვახსოვდეს ისინი, ვინც თავისი სიცოცხლით დაიცვა დედასამშობლო“.

საბჭოთა ხალხი, მისი ავანგარდი — ლენინური პარტია, სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადწყვეტილებებით შეიარაღებული, თანმიმდევრულად ანხორციელებენ მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკას. მაგრამ მსოფლიოში აქტიურ მოქმედებას განაგრძობენ რეაქციისა და მილიტარიზმის ძალები, რომლებიც გაშმაგებით ადგანან საერთაშორისო დაძაბულობის გზას. გამოდის რა საბჭოთა ხალხის ინტერესებიდან, ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს: „ჩვენ კვლავაც გადამწყვეტ წინააღმდეგობას გავუწევთ საერთაშორისო პროვოკაციებისა და ავანტიურების ორგანიზატორებს, გამალებული შეიარაღებისა და „ცივი ომის“ მომხრეებს, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების მტრებს“.

ბერლინი უნდა აფრიალოთ!

ათას ოთხას თვრამეტი დღე!

მთელი საუკუნის განცდას იტევს დიდი სამამულო ომის ეს დრო.

გახსოვთ, ტყვიისფრად ჩაჟამული ზეცა, იავარქმნილი ქალაქები, პირისაგან მიწისა აღგვილი სოფლები?

გახსოვთ, ტყვიებით დაცხრილული მოხუცები, აკვნებში ჩაკლული ჩვილები, სახრჩობელასთან მირეკილი ქალები?

გახსოვთ? რა თქმა უნდა, გახსოვთ, აი ის შავტუხა, აი ის გულღია, აი ის დედისერთა ბიჭი, ომში რომ წავიდა და ვეღარ მობრუნდა შინ.

სახადივით, მიხაკისფერი სახადივით მოედვნენ ქვეყანას სვასტიკიანი ფაშისტები.

მოდიოდნენ შემართული ავტომატებით, აყეფებული ჰაუბიცებით, მოგუგუნე „ფერდინანდებით“, ავიაგამანადგურებელი „ძესერშმიტებით“...

მოდიოდნენ და მესამე რაიხის საიმპერიო კანცელარიიდან ხელგაწვდილი ჰიტლერის ბოდვა მოუძღვებოდათ წინ.

და მაშინ, როცა ვიცავდით მოსკოვს, როცა ბუბუნებდნენ კავკასიის მთები, როცა სტალინგრადთან, კურსკთან, კიევთან ვერკინებოდით გადამთიელ მომხვდურებს, — დაალმასებულ ბიჭებს ბერლინისკენ გაურბოდათ თვალი.

აი იქ, სწორედ იქ, ფაშისტების იმ გულში უნდა გადატეხილიყო ნაციზმის ხერხემალი, იქ უნდა ჩასვენებულიყო მისი ჭიატა მზე, იქ უნდა მოღებოდა ბოლო დაუსრულებელ ომს.

ახლოვდებოდა ათას ოთხას თვრამეტი დღის დასასრული.

ახლო იყო ჟამი განკითხვისა, ჟამი მიგებისა, ჟამი ბერლინზე გამარჯვების წითელი დროშის აფრიალებისა.

დამონებული ევროპა, მთელი მსოფლიოს ილაჯგაწყვეტილი ხალხები მოუთმენლად ელოდნენ ამ დღეს.

და აი, დადგა ეს ნანატრი ჟამი.

1945 წლის 16 აპრილი თენდებოდა.

შორს, სადღაც შორს, შპრეესა და ოდერის ნაპირებთან, დილის ბინდბუნდში მოულოდნელად დაიჭექა 42 ათასმა ქვემეხმა, ერთდროულად დაიძრა ადგილიდან 6 ათასი ტანკი, ერთდროულად აფრინდა ცაში 7 ათასი თვითმფრინავი...

ბერლინის შტურმი დაიწყო.

ბელორუსიის 1-ლ, უკრაინის 1-ლ, ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებს, რომლებიც ცხარე ბრძოლებით მიიწევდნენ ბერლინისაკენ, ხელმძღვანელობდა უმაღლესი მთავარსარდლობა.

კიდევ რამდენიმე დღე და შეინგრა ბერლინის დაგმანული კარიბჭე, მოისრა თავდაცვის სისტემა, დენთის კვამლით გარულული საბჭოთა მეომრები „ვაშას“ ძახილით შეიჭრნენ ბერლინის ცენტრში.

აი აქ, სწორედ აქ, ფაშიზმის ამ ციტადელში უკმევდა გუნდრუკს ჰიტლერის ბოდვას ხეიბარი ჰებელსი, აქა თხზავდა არიული ცისფერი სისხლის აბდაუბდა მონაჩმახს მოფილოსოფოსი როზენბერგი, აქედან, სწორედ აქედან ქადაგებდნენ კაცთა-ჯალათს რაიხსმარშალი გერინგი, რაიხსფიურერი ჰიმლერი, ფელდმარშალი კეიტელი...

აგერ, პირდაპირ მდგარ, საბჭოთა ჯარებით ალყაშემორტყმულ რაიხსტაგში, სანახევროდ ჩამონგრეულ საიმპერიო კანცელარიაში, საშინაო და საგარეო საქმეთა ალმოდებულ სამინისტროებში მუშავდებოდა საკონცენტრაციო ბანაკების შექმნის, ებრაელთა ჟლეტის, მსოფლიოს ხალხთა დამონების ბარბაროსული გეგმები.

ეს გეგმები განაწამებ კაცობრიობას 50 მილიონი ადამიანის სიცოცხლე, 90 მილიონი დაჭრილი და დასახიჩრებული კაცის მწარე ხვედრი, 4 ტრილიონი მანეთი მატერიალური ფასეულობანი დაუჯდა...

გაზაფხული ძალაში შესულიყო.

ყუმბარებით ათხრილ-დათხრილ ტირგარტენის მაგისტრალზე ნიავი აშრიალებდა აქა-იქ შემორჩენილ გაფოთლილ თელებს.

დენთისა და რაღაც უამო ხრაკის სუნი ტრიალებდა ირგვლივ.

წამით, მხოლოდ წამით მიყუჩდებოდა გარემო, გაირინდებოდა ყველა, გაირინდებოდა და ისევ ატყდებოდა ჯოჯოხეთური გრგვინვა. ისევ ირეოდა ერთმანეთში დაზგის ტყვიამფრქვევების კაკანი, ხელყუმბარების გრუხუნი, ნაღმსატყორცნების ზუილი...

კარგად იყო მოდღეევებული, როცა ლეიტენანტ გიორგი გოგიშვილის 22-ე სატანკო-სადესანტო ასეულის მებრძოლები ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში შეიჭრნენ.

ეს შენობა ყველაზე მაღალი ნაგებობა იყო ბერლინში. ამ რუხ და პირქუშ, ყველაზე მაღალ შენობაზე წითელი დროშა უნდა აეფრიალებინათ საბჭოთა მებრძოლებს.

სამინისტროს შენობაში გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა სარდაფისთვის, თითოეული დერეფნისთვის, თითოეული ოთახისა და სართულისთვის.

გრძელი გზა განვლო დროშამ, რომელიც ახლა ასე თავგანწირული ბრძოლა-ბრძოლით აჰქონდა სამინისტროს სართულიდან-სართულზე ლეიტენანტ გიორგი გოგიშვილს.

...1942 წლის ზამთარი იდგა.

გვიჭირდა, თავით ფეხამდე შეიარაღებული ფაშისტები დათარეშობდნენ ჩვენი სამშობლოს ოკუპირებულ მიწა-წყალზე.

ერთ მშვენიერ დღეს, მალოიაროსლავთან განლაგებულ სატანკო ბრიგადას, მოსკოვიდან ჩასული ახალგაზრდების დელეგაცია ეწვია.

ახალგაზრდები აბა რისი ახალგაზრდები არიან: კონცერტი გამართეს, იმხიარულეს, იცინეს, მასპინძლებიც აცინეს და წასვლის წინ ტანკისტებს ასეთი სიტყვებით გადასცეს აი ეს წითელი დროშა:

— იცოდეთ, ბერლინში უნდა ააფრიალოთ!

ახლა კი ბერლინში იყვნენ. მებრძოლებით გარშემოხვეული ლეიტენანტი გიორგი გოგიშვილი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ბრძოლაში დაღუპული ასეულის მეთაური შეცვალა, საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვენს უახლოვდებოდა.

აჰა, სხვენიც!

საბჭოთა მეომრებმა ავტომატების ჯერით მუსრი გაავლეს გააფთრებულ ფოლკსშტურმელთა ჯგუფს და სამინისტროს სახურავზე გაიჭრნენ.

უფრო შემოემაღლა მზეს.

უღრუბლო ცა გადმოჰყურებდა ბერლინს.

ომის ქარცეცხლში გამობრძმედილმა მეომრებმა ლეიტენანტის ხელში აფრიალებულ დროშას გახედეს, „ვაშა!“ დასძახეს და, რა დასამალია, აცრემლებული თვალებით გადაეხვივნენ ერთმანეთს.

მერე ჩვენმა თანამემამულემ, სოფელ აბაშის მკვიდრმა, ლეიტენანტმა გიორგი გოგიშვილმა სარტყელი შეისწორა, ოფლიან შუბლზე ჩამოისვა ხელი, ბეჭებში მხედრულად გაიჭიმა და ბერლინს გადახედა.

მოშორებით, ყუმბარებით დაცხრილულ რაიხსტაგის გუმბათზე, უკვე ფრიალებდა გამარჯვების წითელი დროშა.



ოთარ დემეტრაშვილი

თეიმურაზ ბადურაშვილი,
ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორი.

მეგობრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი ვლადიმერ ჯანჯღავა (შემდეგში საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-ლეიტენანტი) და პოლკის მეთაური პოდპოლკოვნიკი გ. ს. ვოლოშჩენკო (მარცხნივ) შეტევის დაწყების წინ. კურსკის რკალთან. 1943 წ.

საბჭოთა ხალხების მეგობრობა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების ერთ-ერთი დაუშრეტელი წყაროა.

დიდ სამამულო ომში სწორედ ოქტომბრის მონაპოვარმა, კომუნისტური პარტიის ბრძნულმა ხელმძღვანელობამ, საბჭოთა ხალხის მეგობრობამ და მონოლითურმა შეკავშირებამ გვატარა გამარჯვების გზით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში თავმოყრილი უამრავი მასალა ნათლად მოგვითხრობს დიდ სამამულო ომში საბჭოთა ადამიანების ძმურ მეგობრობაზე, ურთიერთ სიყვარულზე, სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულებასა და თავდადებაზე.

ამ წერილში სწორედ საბჭოთა ხალხების სამაგალითო მეგობრობაზე გვსურს გესაუბროთ.

მოდით, მივყვეთ მუზეუმის ექსპონატებს.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ხშირად შეხვდებით ამ თავმდაბალ და უპრეტენზიო კაცს. შეიძლება ბევრმა არც იცის, რომ იგი დიდი სამამულო ომის ერთ-ერთი ლეგენდარული გმირია.

...ფაშისტები ალყის მარწუხში აქცევდნენ ლენინგრადს. და აი, ლენინის ქალაქიდან ევაკუირებული ბავშვებით სავსე ეშელონი დაიძრა ზურგისკენ.

ღრუბლებიდან უცბად გამოიჭრა სვასტიკიანი თვითმფრინავი და ბავშვებით სავსე ეშელონისკენ გაეშურა. სასოწარკვეთილი ნორჩების დაღუპვა გარდუვალი იყო. მაგრამ მოხდა ის, რაც მხოლოდ თითქოს ზღაპრებში ხდება: ღრუბლებიდან ახლა საბჭოთა თვითმფრინავი გამოიჭრა და სვასტიკიან თვითმფრინავს გადაუჭრა გზა.

ჩვენი თვითმფრინავი საბრძოლო დავალებიდან ბრუნდებოდა, ტყვია-წამალი უკვე გამოლეული ჰქონდა, მაგრამ მფრინავი არ დაბნეულა, გაბედულად წავიდა ტარანზე და თვითმფრინავის ხრახნით ხერხემალი გადაუმტვრია სვასტიკიან სვავს. მერე, ბავშვები რომ დაემშვიდებინა, რაც შეიძლება ძირს დაეშვა და დიდხანს მიაცილებდა გახარებული ნორჩებით გაჭედილ ეშელონს.

ეს ნორჩები ახლა დედები და მამები არიან. 1969 წელს მათ გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ მეშვეობით დაადგინეს, რომ ლენინგრადიდან მომავალი ეშელონი გადაარჩინა ქართველმა მფრინავმა — საბჭოთა კავშირის გმირმა დავით ჯაბიძემ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი დავით ჯაბიძე დღესაც უამრავ წერილსა და მიწვევას იღებს მის მიერ გადარჩენილი „ბავშვებისაგან“.

აი კიდევ ჩვენი მუზეუმის ერთი ამაღელვებელი სტენდი:

ესკადრილიის უფროსი ალექსი ბატურინი და მფრინავი მიხეილ მაჩაბელი ერთად იბრძოდნენ დიდ სამამულო ომში.

ერთხელ, საჰაერო შეტაკებისას, ალექსი ბატურინი ისე გაერთო მტრის თვითმფრინავის დევნით, რომ ვერ შენიშნა, როგორ წამოეპარა სვასტიკიანი თვითმფრინავი.

მიხეილ მაჩაბელი მაშინვე გაეშურა მეგობრის საშველად. მან თვალისდახამხამებაში გადაუღობა გზა ბატურინის თვითმფრინავისთვის დაშენილ ტყვიებს. მაჩაბლის თვითმფრინავს ხანძარი მოედო და ტყეში ჩავარდა.

საბრძოლო დავალებიდან დაბრუნებულმა ალექსი ბატურინმა ცრემლმორეული თვალებით აცნობა შტაბს, რომ მფრინავმა მიხეილ მაჩაბელმა ესკადრილიის მეთაური სიკვდილისგან იხსნა, თვითონ კი დაიღუპა.

მაგრამ გმირი მფრინავი არ დაღუპულა: მიხეილ მაჩაბლის ალმოდებული თვითმფრინავის ვარდნის სიჩქარე და ძალა ხის ტოტებმა შეამსუბუქეს. გონებადაკარგულ, ხერხემალდაზიანებულ მიხეილს პარტიზანებმა მიუსწრეს.

გამოხდა ხანი. ნებისყოფამ თავისი გაიტანა, მიხეილ მაჩაბელი ისევ თავგანწირვით ჩაება მტერთან ბრძოლაში.

მეგობრები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. ძმური ურთიერთობა მათ არც ომის დამთავრების შემდეგ შეუწყვეტიათ. ფრონტელი მეგობრები, როგორც წესი, ყოველ წელს მოინახულებდნენ ხოლმე ერთმანეთს.

შარშან ალექსი ბატურინმა უკანასკნელად მოინახულა თავისი ძმადნაფიცი. იგი თავდახრილი იდგა მიხეილ მაჩაბლის ცხედრის წინ და ტიროდა.

აი კიდევ ერთი ქართველი მფრინავის ამაღელვებელი ამბავი:

საბჭოთა კავშირის გმირმა ზაქარია ხიტალიშვილმა დიდი სამამულო ომის პირველ დღეებშივე ისახელა თავი. იგი ყოველთვის რისხვად ევლინებოდა მტერს.

ერთ-ერთ უთანასწორო ბრძოლაში ზაქარია ხიტალიშვილის თვითმფრინავი მტრის მიერ ოკუპირებულ პოლტავის ოლქის მიხაილოვსკის რაიონში ჩამოვარდა.

მძიმედ დაჭრილ საბჭოთა მფრინავს, რომელიც საგულდაგულოდ დამალეს, მზრუნველობას არ აკლებდნენ უკრაინელი ქალები — შლიაპკინა, ვაშჩენკო და მალცევა. შლიაპკინას 15 წლის გოგონა ნატაშა საჭმელს ეზიდებოდა გადამალულ მფრინავთან.

გამოჯანმრთელების შემდეგ ზაქარია ხიტალიშვილმა ისევ დაიწყო ფაშისტების ულტა.

დამთავრდა დიდი სამამულო ომი. იმ ადგილს, სადაც ზაქარია ხიტალიშვილის თვითმფრინავი დაეცა, უკრაინელმა მეგობრებმა „ზაქარიას ველი“ შეარქვეს.

ზაქარიამ, რა თქმა უნდა, მოინახულა თავისი მხსნელები. გული ჩაეთუთქა, როცა გაიგო, რომ შლიაპკინას ქალიშვილი ნატაშა ფაშისტებმა, სხვა ტყვეებთან ერთად, გერმანიაში წაიყვანეს და იქ დაიღუპა.

მალე ზაქარია ხიტალიშვილის მშობლიური დუშეთის რაიონი და პოლტავის ოლქის მიხაილოვსკოეს რაიონი დამეგობრდნენ. საბჭოთა კავშირის გმირმა ზაქარია ხიტალიშვილმა უკრაინელ მეგობრებს საკუთარი სახსრებით შეძენილი კომბაინი გაუგზავნა საჩუქრად.

რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს დავით ჩხიკვიშვილს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოებრიობა.

დავით ჩხიკვიშვილმა სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო დიდ სამამულო ომში.

აი ერთ-ერთი ეპიზოდი:

ომის პირველ ხანებში საბჭოთა მოიერიშე თვითმფრინავებს ერთი მეტად სუსტი მხარე ჰქონდათ — ეს იყო „კუდი“. ჩვენ თვითმფრინავებს უკანა მხრიდან თავდაცვის საშუალება არ გააჩნდათ. საკმარისი იყო, მტერი „კუდიდან“ წამოპარვოდა, რომ მფრინავი მეტად მძიმე და გამოუვალ მდგომარეობაში ვარდებოდა.

დავით ჩხიკვიშვილმა თავდაცვის საშუალებას მიაგნო: მან თვითმფრინავის უკანა ლუკშიც

სურათზე გამოსახულია მფრინავი-რადისტი დავით ჩხიკვიშვილი. 1942 წ.

დადგა ტყვიამფრქვევი. საჭიროების შემთხვევაში იგი ორივე ტყვიამფრქვევს ამოქმედებდა და მოულოდნელ ცეცხლს უშენდა გაოგნებულ მტერს.

ამ მახვილგონივრულმა მიგნებამ ჩვენი ქვეყნის მრავალი მფრინავი იხსნა დაღუპვისაგან.

ყველას გახსოვთ, როგორი თბილი სიტყვებით იხსენიებს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი თავის წიგნში „მცირე მიწა“ პეტრე ვერეშჩაგინისა და შალვა თათარაშვილის გულითად მეგობრობას.

1943 წლის 15 თებერვალს შალვას 23 წელი შეუსრულდა. ამ დღის აღსანიშნავად პეტრე ვერეშჩაგინმა მეგობარს 23 ვაზნა მიართვა. ეს ძვირფასი საჩუქარი იყო, რადგან ცხარე ომში ვაზნა არავის მოსჭარბდება.

აი როგორ გაგრძელდა ამ ორი მებრძოლის მეგობრობა:

ერთ-ერთი შეტაკების დროს პეტრე ვერეშჩაგინი მძიმედ დაიჭრა. შალვამ მაშინვე მიირბინა მეგობართან, ჭრილობა შეუხვია, საიმედო საფარში გადაიყვანა და ისევ ბრძოლაში ჩაება.

მძიმედ დაჭრილი პეტრე ვერეშჩაგინი ჰოსპიტლიდან მალე თბილისში ჩავიდა და შალვა თათარაშვილის დას მარიამს ესტუმრა. ძმის ფრონტელ მეგობარს მარიამმა ნამდვილი დობა გაუწია, ზრუნვა და ყურადღება არ მოუკლია მისთვის.

ამას წინათ შალვა თათარაშვილს 60 წელი შეუსრულდა. პეტრე ვერშჩაგინი ოჯახითურთ ეწვია მეგობარს. მათი ძმური ურთიერთობა ძველებურად გრძელდება.

„ქართველი ძმა დაეძებს თავის ბელორუს დას“, ამ სიმღერის ტექსტი ცნობილმა პოეტმა ევგენი დოლმატოვსკიმ დაწერა, მუსიკა — კომპოზიტორმა ფელცმანმა.

აი რამ მისცა საფუძველი ამ სიმღერას:

დიდი სამამულო ომის პირველი დღეები იყო. პოლკი, რომელშიც გ. ჯაფარიძე იბრძოდა, მტრის გარემოცვაში მოხვდა.

ჩვენმა თანამემამულემ ძნელი და საპატიო დავალება მიიღო — გარემოცვიდან უნდა გამოეტანა და დაემალა პოლკის დროშა.

მან დროშა ტანზე შემოიხვია, მტრის ალყიდან გასხლტა, მაგრამ მახლობელ სოფელში მოულოდნელად დააკავეს ფაშისტებმა.

— მე ამ სოფლიდან ვარ, — განუცხადა გერმანელ ჯარისკაცებს შეპყრობილმა ჯაფარიძემ.

ფაშისტებმა გ. ჯაფარიძე სოფელში ჩამოატარეს. ერთ-ერთი სახლიდან ახალგაზრდა ქალი გამოვარდა, ჯაფარიძეს გადაეხვია, გულში ჩაიკრა და შესძახა, „ძმაო, დაბრუნდი?“

ფაშისტებმა გაანთავისუფლეს შეპყრობილი. გაოცებულ ჯაფარიძეს ახალგაზრდა ქალმა აუხსნა, რომ ყური მოჰკრა მის სიტყვებს „ამ სოფლიდან ვარ“ და მაშინვე გადაწყვიტა, დახმარებოდა საბჭოთა ადამიანს.

ვინ იცის, რა ბედი ეწია ამ კეთილშობილ ბელორუს ქალს? მის ასავალ-დასავალს დღემდე ვერ მიაგნო ჩვენმა თანამემამულემ.

გ. ჯაფარიძე ამჟამად მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევა. იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანია.

გენიჩესკისა და მახარაძის რაიონების მშრომელთა მეგობრობას ომამდე ჩაეყარა საფუძველი.

დიდმა სამამულო ომმა უფრო განამტკიცა მათი ძმური სიყვარული. ოკუპაციის პერიოდში ბევრი გენიჩესკელი ჩავიდა ქართველ მეგობრებთან.

როგორც ახლობელი, როგორც ღვიძლი ადამიანები, ისე მიიღეს მახარაძელებმა უკრაინელი მეგობრები.

ამჯერად მხოლოდ ერთ ფაქტს მოგიყვებით.

სოფელ შრომის მკვიდრს, კოლმეურნე მელენკი მჟავანაძეს ერთადერთი შვილი ფრონტზე დაეღუპა. მან ჰოსპიტლიდან წამოიყვანა მძიმედ დაჭრილი მებრძოლი ვ. ლავრენტიევი. ქართველმა ქალმა მშობლიური სითბო და მზრუნველობა არ მოაკლო შვილობილს. დღე და ღამე დასტრიალებდა თავზე, ჭრილობები მოუშუშა, ფეხზე დააყენა და ისევ ფრონტისკენ დაულოცა გზა.

რამდენიმე წლის წინათ მელენკი მჟავანაძე გარდაიცვალა. ვ. ლავრენტიევი თავისი ოჯახით ჩამოვიდა მახარაძეში, გულწრფელად დაიტირა ქართველი დედობილი და მის საფლავზე ასეთი წარწერიანი მარმარილოს დაფა მიამაგრა: „ძვირფას დედას მელენკი თევდორეს ასულს. შენი დედური ზრუნვა, სიყვარული და ალერსი ომის მძიმე წლებში, ძვირფასო, სამუდამოდ დარჩება ჩემს ჯარისკაცულ გულში“.

ჩვენი მუზეუმის ერთ-ერთ საექსპოზიციო დარბაზში გამოფენილია მრგვალი ბეჭედი, რომელზეც გერმანულ ენაზეა ამოკვეთილი ასოები.

ამ ბეჭედს მეტად საინტერესო ისტორია აქვს.

ექიმ სევერიან ბელქანიას ომმა ქალაქ ვინიცაში მოუსწრო. მან ევაკუაცია ვერ მოასწრო და

საბჭოთა კავშირის გმირი ირაკლი ციციშვილი.

გერმანელთა დისპანსერში მთავარ ექიმად დაიწყო მუშაობა. სევერიანს ყველა სამშობლოს მოღალატედ თვლიდა, მტერიც და მოყვარეც. სინამდვილეში კი სევერიან ბელქანია თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი და ფაშიზმის დაუძინებელი მტერი იყო. მთავარი ექიმი შინ ფარულად მკურნალობდა მძიმედ დაჭრილ პარტიზანებს, ტყეებში გასულ საბჭოთა ადამიანებს განუწყვეტლივ ამარაგებდა საჭირო მედიკამენტებით.

საბჭოთა კავშირის გმირი ზაქარია ხიტალიშვილი თავის დედობილებთან.

ჩვენმა თანამემამულემ არა ერთი ეროვნების საბჭოთა მოქალაქე იხსნა გერმანიაში სამუშაოდ გაგზავნისაგან. ფაშისტების მიერ ნდობით აღჭურვილი ექიმი დაწერდა ცნობას, რომ ესა და ეს კაცი, ამა და ამ ინფექციური სენით არის დაავადებული, ზედ ამ ბეჭედს დაარტყამდა და დიდი რისკის ფასად მისი „პაციენტი“ უკვე გადარჩენილი იყო.

უკრაინის სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი სევერიან ბელქანია ახლაც ვინიცაში ცხოვრობს, იგი ქალაქ ვინიცის საპატიო მოქალაქედ არის არჩეული.

ვასილ ლავრენტიევი თავისი დედობილის მელენკი მჟავანაძის საფლავთან.

საჟურნალო წერილში ჩვენი მუზეუმის ყველა ექსპონატის ჩამოთვლა შეუძლებელია. ერთი კი ცხადია, დიდ სამამულო ომში ნათლად და ყოველმხრივ გამოვლინდა საბჭოთა ადამიანების ჰუმანიზმი, ძმობა, გამტანობა, ურთიერთ სიყვარული, სამშობლოსა და კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულება.

ამ ჩადუღაბებულ მეგობრობას ჩვენი ქვეყნის ხალხები ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ მიჰყავს.

თინა თორჩიჯელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ახლა სამოცი წლის იქნებოდა.

მაისის ამ ნათელ, მწვანედ მოხასხასე დღეს აბა რა გააჩერებდა შინ?

გამოვიდოდა კარში, მიესალმებოდა მეზობლებს, გულღია სიტყვას მიაგებებდა მოკეთეებს და ახალგაზრდული ხალისით გავიდოდა ყაყაჩოებით მოფენილ მდელოზე.

მაგრამ...

დიდი სამამულო ომი ახალი დაწყებული იყო, როცა გორის რაიონის სოფელ თორტიზის მკვიდრნი თინა იოსებიძე და მისი ძმა ლავრენტი ფრონტზე წავიდნენ.

სასახელო ბრძოლების გზა განვლო მხარზე მედდის ჩანთაჩამოკიდებულმა ოცი წლის ქალიშვილმა თინა იოსებიძემ.

სიმამაცე და გამბედაობა, ამტანობა და გულითადობა, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და ვერაგი მტრის სიძულვილი მუდამ თან სდევდა ბრძოლის მოწინავე ხაზზე თინა იოსებიძეს.

ოდესის მისადგომებთან, სევასტოპოლის ქარცეცხლში, მოზდოკთან თუ ,ვარშავასთან, ვინ იცის, რამდენ მებრძოლს დაეხმარა თინა, რამდენი დაჭრილი გამოიყვანა ტყვიის კორიანტელიდან, რამდენ ადამიანს შეუნარჩუნა სიცოცხლე.

ერთ ბრძოლაში თინა იოსებიძე დაიჭრა. როცა გამოჯანმრთელდა, დაუდგრომელი ქალიშვილი მოზდოკის მახლობლად ერთ-ერთ შენაერთში განამწესეს.

აი იქ შეხვდა თინა იოსებიძე თავის ძმას, რომელიც ქვეითთა ასეულს მეთაურობდა. და-ძმის სიხარული ნაადრევი გამოდგა: რამდენიმე დღის შემდეგ მოზდოკთან გამართულ ბრძოლაში ლავრენტი იოსებიძე სასიკვდილოდ დაიჭრა.

ამაო გამოდგა დაჭრილ ძმასთან გათენებული ღამეები, მისთვის საკუთარი სისხლის გადასხმა, ყოველნაირი ცდა და შემწეობა.

გულდათუთქულმა ქალიშვილმა საკუთარი ხელით მიაყარა მიწა ძმის საფლავს, ისევ მებრძოლებს ამოუდგა მხარში და მოწინავე ხაზს მიაშურა.

ზედიზედ აკიაფდა თინა იოსებიძის მკერდზე სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი, წითელი ვარსკვლავის ორდენი, ხსვადასხვა მედლები.

ჩვენი ჯარები უკვე ბერლინს უახლოვდებოდნენ.

356-ე მსროლელი დივიზიის ბატალიონმა, რომელსაც კაპიტანი ბორის შვაროვი მეთაურობდა, ბერლინისკენ მიმავალ გზაზე ფართო არხი გადალახა და თავდაცვის ზღუდე მოაწყო.

ღამით გერმანელთა სატანკო დივიზიამ კონტრშეტევა წამოიწყო. მტერი ახალ-ახალ ძალებს იშველიებდა და გააფთრებული მოიწევდა წინ.

სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ ბორის შვაროვის ბატალიონი, რომელიც ჩვენი ნაწილების გადასასვლელს იცავდა, იძულებული გახდა უკან დაეხია.

სწრაფად, ჩვეული სისხარტით, წამის დაუკარგავად ტრიალებდა თინა იოსებიძე. ხან ერთ დაჭრილს ეხმარებოდა, ხან მეორეს, იქით — მესამეს. გაუწევდა გადაუდებელ პირველ დახმარებას, დოლბანდით სწრაფად შეუხვევდა ჭრილობას, დაჭრილს ფოფხვა-ფოფხვით მიიყვანდა ნავთან და ისევ უკან გამორბოდა.

როცა უკანასკნელი ნავი გადიოდა, თინა იოსებიძემ უკანასკნელ დაჭრილს შეუხვია ჭრილობა, კბილით გადახია დოლბანდი და...

ფაშისტები უკვე სანაპიროზე შემოიჭრნენ.

ნავი? უკანასკნელი ნავი ვეღარ ასწრებდა გასვლას!

მამაცი ქალიშვილი, ჩვენი ღირსეული თანამემამულე დევგმირივით შეიმართა, ორი უკანასკნელი ხელყუმბარა მოიმარჯვა და მტერს სტყორცნა.

ფაშისტები მიწაზე გაწვნენ.

რამდენიმე წამი, გადამწყვეტი წამი მოგებული იყო — დაჭრილებით სავსე ნავი სწრაფად ეფარებოდა თვალს.

გაისმა ავტომატების სროლა.

თინა იოსებიძე არდავიწყებაში, უკვდავებაში გადაეშვა.

ილია ტატიშვილი,

დიდი სამამულო ომის მონაწილე.

მე-18 არმიის სამხედრო საბჭოს მოწოდებამ ელვასავით მოირბინა სანგრები და ბლინდაჟები.

— ვფიცავთ ჩვენს საბრძოლო დროშებს, ჩვენს საყვარელ სამშობლოს, რომ გავუძლებთ მტერთან მომავალ შეტაკებას. „მცირე მიწას“ ჰიტლერელთა სასაფლაოდ გადავაქცევთ! — იმეორებდნენ მებრძოლები საღებავშეუმშრალ ფურცლებზე დაბეჭდილი მოწოდების სიტყვებს.

გერმანელ ფაშისტთა სარდლობა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ „მცირე მიწის“ პლაცდარმი 20 აპრილამდე — ჰიტლერის დაბადების დღემდე საბოლოოდ მოესპო და გაენადგურებინა.

მათ კარგად ესმოდათ: „მცირე მიწა“ საბჭოთა არმიისთვის ტამანის განთავისუფლების გასაღები იყო.

ამიტომაც იყო, გერმანელი ფაშისტები ასეთი გააფთრებით რომ იბრძოდნენ მათ ზურგში სოლივით შეჭრილი „მცირე მიწის“ პლაცდარმის გასანადგურებლად.

აახღვაო-სადესანტო რაზმების მიერ შეუვალ ციხესიმაგრედ ქცეული „მცირე მიწა“ მხოლოდ ოცდაათი კვადრატული კილომეტრი იყო. ფრონტის ხაზის სიგრძე ექვს კილომეტრს არ აღემატებოდა, სიღრმე — ოთხნახევარ კილომეტრს. ეს იყო და ეს!

ამ პატარა, შიშველ კონცხს ახლა დიდმნიშვნელოვანი მისია უნდა შეესრულებინა ნოვოროსიისკის გმირული ეპოპეის წარმატებით დაგვირგვინებაში, სარდლობის სტრატეგიული ჩანაფიქრის განხორციელებაში.

გაზაფხულის სუსხიანი ღამე იყო.

გელენჯიკიდან გასული გემი ფრთხილად უახლოვდებოდა „მცირე მიწას“.

უცებ მტრის შუშხუნებმა გაანათეს ჩაბნელებული ზღვა. იქუხეს ქვემეხებმა, ცაში აიჭრნენ სვასტიკიანი თვითმფრინავები.

165-ე მსროლელი ბრიგადის თერაპიულ-სანიტარული ოცეულის მეთაური თომა რუხაძე, სანიტრებთან ერთად, ბარჯზე გამალებული ტვირთავდა მედიკამენტებს.

შემაზრზენმა გრიალმა გააყრუა გარემო. ცეცხლმოდებული გემი ნელნელა ჩაიძირა ზღვაში.

ბარჯი, როგორც იქნა, მიადგა სანაპიროს. იქვე, მოფარებულ ადგილზე, თომა რუხაძემ სახელდახელოდ მოაწყო ხუხულა. ისევ გრიალებდნენ ქვემეხები, როცა ექიმმა მოწინავე ხაზიდან მოყვანილ მძიმედ დაჭრილ მებრძოლს ოპერაციის გაკეთება დაუწყო.

არასოდეს დაავიწყდება თომა რუხაძეს „მცირე მიწაზე“ გატარებული ეს პირველი უძილო ღამე.

მუხლჩაუხრელად ტრიალებდა სამედიცინო სამსახურის ოცეული: მოჰყავდათ დაჭრილები, აწვენდნენ საკაცეებზე, შეჰყავდათ „საოპერაციოში“; მხარში ედგნენ ექიმს, მუშაობდნენ უსიტყვოდ, დაძაბულად, მონდომებით.

იმ მძიმე წუთებში თომა რუხაძე ქირურგიც იყო, თერაპევტიც, მედდაც, სანიტარიც. „მცირე მიწაზე“ მოსულმა ოცეულმა პირველსავე დღეს ექვსასამდე დაჭრილ მებრძოლს გაუწია გადაუდებელი დახმარება.

ეს იყო ერთი დღე, „მცირე მიწაზე“ კი ასეთი მძიმე და დაძაბული 225 დღე იყო!

მებრძოლებს ფიცხელ ომში დიდ სიმხნევეს მატებდა არმიის სარდლის კონსტანტინე ლესელიძის ხშირი წვევა. როგორც წესი, ყუმბარების ქარცეცხლში გახვეულ პლაცდარმზე მალ-მალე ჩადიოდა და რამდენიმე დღე რჩებოდა არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი ლეონიდ ბრეჟნევი.

ჩავიდოდა, შემოივლიდა მოწინავე ხაზს, გაეცნობოდა საფორტიფიკაციო სამუშაოებს, დაათვალიერებდა სანგრებს, გაესაუბრებოდა მებრძოლებს.

მის თბილ სიტყვას, დარიგებას, რჩევას, მითითებას, ბრძანებას დიდი სიმხნევე, რწმენა, ორგანიზება შეჰქონდა მებრძოლებში.

საყოველთაოდ ცნობილია, სამშობლოს წინაშე როგორ გმირულად მოიხადეს მხედრული ვალი „მცირემიწელებმა“. ამ დიდ საერთო საქმეში თავისი წვლილი ჩვენმა თანამემამულემ, მთავრობის ჯილდოებით მკერდდამშვენებულმა ექიმმა თომა რუხაძემაც შეიტანა.

მის მშობლიურ საჩხერეში რომ ჩაბრძანდეთ, ნახავთ მოსკოვიდან, კიევიდან, იალტიდან, კრასნოდარიდან, ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილ ბარათებს; გულწრფელ მადლობას უხდიან საბჭოთა ადამიანები თომა რუხაძეს დიდ სამამულო ომში მათთვის გაწეული უანგარო, თავდადებული დახმარებისათვის.

ომის ვეტერანი თომა რუხაძე ახლა ჭიათურაში მუშაობს. თავის ცოდნას, ძალას, გამოცდილებას იგი კვლავ მშრომელი ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილურ საქმეს ახმარს.

ეთერ ჩილაჩავა.

ეჭიდი ბრძოლის ველზე

მიხეილ დავითაშვილი

ნოვოროსიისკი, 1974 წელი

1974 წლის სექტემბრის დამდეგია. გმირ ქალაქთა თანავარსკვლავედს შემატებული ნოვოროსიისკი დიდებულ დღეობას იხდის. ერთი წლის წინათ, განთავისუფლების ოცდამეათე წლისთავზე, ნოვოროსიისკს მიენიჭა გმირი ქალაქის წოდება, ახლა კი ამ საპატიო ჯილდოს გადაცემასთან დაკავშირებით საზეიმოდ მორთული გულღიად ეგებება მრავალრიცხოვან სტუმარს — ყოფილი მე-18 არმიის ვეტერანებს, გმირი ქალაქის, მეზობელი ოლქებისა და მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებს.

ყველგან მოღიმარი სახეები, მეგობრული ამბორი და, რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში ტრადიციული — „გახსოვს?“.

მე-18 არმიის ვეტერანების შეხვედრა ლ. ი. ბრეჟნევთან.

ომსრულეშიწელის ფიცის ერთგულებით

არტემ აზიროვი. 1943 წელი.

ნოვოროსიისკის ზეიმის მონაწილეთა შორის არიან თითქმის ყველა მოძმე რესპუბლიკის ხალხთა შვილები, რომელთაც ერთნაირი პატივისცემით და სიყვარულით ხვდება, ეცნობა და ესაუბრება მათი არმიის პოლიტგანყოფილების ყოფილი უფროსი, ყველასათვის ძვირფასი ადამიანი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ამ ღირსსახსოვარ დღეებში აქ უსმენენ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ვეტერანებს, კითხულობენ გვარებს მკაცრ ბრძოლებში გმირულად დაღუპულთა პატივსაცემად აღმართულ ობელისკებზე, უნებლიეთ ფიქრობენ იმ დიდ ძალაზე, რამაც განაპირობა მე-18 არმიის ლეგენდარული გამარჯვებები, ამ ძალას კი მეომართა ინტერნაციონალური სულისკვეთება წარმოადგენდა. მართლაცდა, არმიის ყველა რგოლი, დაწყებული ლეგიონის ქვეგანაყოფიდან დამთავრებული შენაერთის სარდლობამდე, რომელშიც შედიოდა მრავალი ერის წარმომადგენელი, ერთიან შემჭიდროებულ ოჯახად ცხოვრობდა და იბრძოდა. კავკასიონის ჭაღარა მთებში, ნოვოროსიისკის მისადგომებთან, ტამანის ტრამალებზე თუ უკრაინის სტეპებში, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და საბჭოთა ადამიანების სულის სიდიადის სიმბოლოდ დარჩენილა ძმათა სასაფლაოები და ობელისკები.

საბრძოლო ძმობის, მეგობრობისა და ხელმძღვანელობის საუკეთესო მაგალითებს თვით პოლკოვნიკი ლ. ი. ბრეჟნევი იძლეოდა, ეს ჭეშმარიტად ჩვენი დროის დიდი ინტერნაციონალისტი. არმიის პოლიტიკურ განყოფილებაში რომელი ეროვნების წარმომადგენელი არ იყო — რუსი თუ უკრაინელი, ბელორუსი თუ უზბეკი, ქართველი თუ სომეხი, ყაზახი თუ ებრაელი... ყველა ისინი, ლ. ი. ბრეჟნევის ხელმძღვანელობით, ერთიანი შემართებით მუშაობდნენ ფრონტის წინა ხაზზე, იარაღით ხელში იგერიებდნენ მტრის შემოტევებს და, როცა საჭირო იყო, იერიშზეც გადადიოდნენ.

იმ საზეიმო დღეებში კი ნოვოროსიისკში ყველა — მასპინძელიცა და სტუმარიც — მოიხიბლა ლ. ი. ბრეჟნევის უბრალოებითა და თავმდაბლობით. მასპინძლებმა ლეონიდ ილიას ძეს ადრევე მოუმზადეს ცალკე ბინა ქალაქგარეთ, მაგრამ მან არ ისურვა თანაპოლკელთაგან გამოყოფა: ვიქნები იქ, სადაც ჩემი მებრძოლი მეგობრები იქნებიანო.

და აი, ჩვენი, საქართველოს, დელეგაციაც მასთან ერთად არის სასტუმრო „ბრიგანტინაში“. პირველსავე საღამოს ვეტერანები ერთმანეთს უზიარებენ გმირ ქალაქში ყოფნის პირველი დღის შთაბეჭდილებებს. 6 სექტემბერს, საღამოს, დელეგაციის წევრებში ხმა დაირხა, რომ დილით პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გვეწვევაო. მოუთმენლად ველით ნანატრ შეხვედრას. ყველას გვეამაყება, რომ ამხანაგმა ბრეჟნევმა ჩვენს დელეგაციასთან შეხვედრის დრო გამონახა.

ლ. ი. ბრეჟნევის გულთბილობა საქართველოს დელეგაციისადმი არავის გაჰკვირვებია. ასეთი ყურადღება, გულისხმიერება ხომ ლეონიდ ილიას ძის ბუნებაა, ხასიათია. ცნობილია, რომ 1943 წელს ლ. ი. ბრეჟნევი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა ტამანის განთავისუფლების შემდეგ ლესელიძის არმიაში ჩასულ საქართველოს მშრომელთა დელეგაციას.

და აი სამი ათეული წლის შემდეგაც, 1974 წელს, ლ. ი. ბრეჟნევმა ჩვეული გულითადობა გამოიჩინა ჩვენი დელეგაციისადმი.

7 სექტემბერს, დილით, დანიშნულ დროზე, ყველამ თავი მოვიყარეთ სასტუმროს მესამე სართულზე, ფოიეში, ლ. ი. ბრეჟნევის რეზიდენციასთან ახლოს. აი უკვე საათის ისარი ცხრას უჩვენებს. იღება კარი და გამოდის მხნე და მოღიმარი ბრეჟნევი. — აი მეც, საქართველოს შვილებო, თქვენს განკარგულებაში ვარ, — დაუმატა:—როგორ მოეწყვეთ, — მიმოავლო თვალი ყველას, სათითაოდ ხელი ჩამოგვართვა და კმაყოფილების გრძნობით განაგრძო:

— უთუოდ, თქვენც, ისე როგორც მე, აღტაცებული ხართ აქაურობით. გმადლობთ, რომ ჩამოხვედით.

— ყველანი ძალზე აღტაცებულნი ვართ, ლეონიდ ილიას ძევ, — თითქმის ერთხმად შევძახეთ, — როგორ ბრძანდებით? — თქვენ მამაცურად იცავდით მცირე მიწას, უნარიანად ხელმძღვანელობდით ნოვოროსიისკის განთავისუფლებას, დღეს ზეიმით გიხდით მადლობას გმირი ქალაქი.

— ყველა თავგანწირვით იბრძოდით, სწორედ ამაშია ჩვენი ძალა, — ამბობს ბრეჟნევი და რას არ გვეკითხება, რა არ აინტერესებს. იგონებს ფრონტზე გარდახდილ ამბებს, აინტერესებს ყველას ვინაობა, სათითაოდ ეცნობა დელეგაციის წევრებს, ხუმრობს...

როცა ლეონიდ ილიას ძეს საქართველოს დედაქალაქის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი, მცირემიწელი, მეავტომატეთა ასეულის ყოფილი მეთაური, თადარიგის პოდპოლკოვნიკი არტემ ივანეს ძე აზიროვი — უშუალო მონაწილე მთელი 225-დღიანი ეპოპეისა — წარუდგინეს, ამხანაგმა ბრეჟნევმა თავი ოდნავ გვერდზე გადახარა და ხუმრობით თქვა:

— ბიჭოს, თქვენთან ხუმრობა არც შეიძლება. მეავტომატეებთან განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებს. თქვენ რა არ შეგიძლიათ! — ყველამ გულიანად გადაიხარხარა.

მრისხანე დღეთა გახსენება

ლეონიდ ილიას ძის კეთილი ხუმრობით ნათქვამ ამ სიტყვებში მთელი სიცხადით გამოიხატა არტემ აზიროვისა და ასეულის მეავტომატეთა მხედრული სიმამაცე, ღრმა პატივისცემა მისი საბრძოლო გმირობისადმი, დიდი დაფასება, აღიარება იმისა, რომ მამაც მცირემიწელთა პლეადაში ღირსეული ადგილი ეკავა მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ოცი წლის თბილისელს. აქ, მცირე მიწაზე, დავაჟკაცდა და გამოიწრთო იგი, შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში, ამ ცეცხლოვან მიწაზე აზიროვი იბრძოდა დესანტის გადასხმის პირველი დღეებიდან გერმანელ-ფაშისტი დამპყრობლების ნოვოროსიისკიდან სრულ განდევნამდე ჯერ 51-ე, ხო-

ლო შემდეგ 107-ე ცალკე მსროლელი ბრიგადების ოცეულისა და ასეულის მეთაურად.

თებერვალში მცირე მიწის პირველი მედესანტეების — კუნიკოველებისათვის დახმარების გასანევად პირველთაგანი გაიჭრა აზიროვის ოცეული 51-ე მსროლელი ბრიგადის პირველი ბატალიონიდან. ეს ოცეული, სხვა ქვეგანაყოფებთან ერთად, სასტიკი ბრძოლებით მიიწევდა წინ და ე. წ. „სიკვდილის ველს“ სწმენდდა ფაშისტი დამპყრობლებისაგან. ნაბიჯ-ნაბიჯ ართმევდნენ მტერს მშობლიურ მიწას, გავიდნენ უსახელო ბორცვებამდე და დაიკავეს პოზიციები ახლა უკვე ყველასათვის ცნობილი „ჭის“ რაიონში.

ამ ბრძოლებში მეავტომატეთა ასეული ძლიერ შეთხელდა, ოფიცერთაგან ცოცხალი გადარჩა მხოლოდ ოცეულის მეთაური აზიროვი და მას ებრძანა ამ ქვეგანაყოფის ხელმძღვანელობა. ყველას აოცებდა ტანმორჩილი, ჯანღონიანი ჭაბუკი თავისი გამბედაობით, პირდაპირობით, შეუპოვრობითა და ჭეშმარიტი სამხრეთული ტემპერამენტით. ასეული მისი მეთაურობით მრავალი დღის განმავლობაში აკავებდა „ჭის“ რაიონში მტრის განუწყვეტელ შემოტევას.

აპრილის ცხარე დღეებში ერთი ინტერნაციონალური ოჯახივით შედუღაბებულმა აზიროვის ასეულმა პირველმა მიიღო მტრის იერიშების დარტყმები. გადარჩენილი ერთი მუჭა ჯარისკაცები, რომელთაც აზიროვი მეთაურობდა, მედგრად იდგნენ, ასრულებდნენ სამშობლოს განაწესს: „არც ერთი ნაბიჯი უკან!“. ყველა მებრძოლი, მათ შორის აზიროვიც, დაჭრილი იყო, მაგრამ არც ერთს არ მიუტოვებია ბრძოლის ველი, ხელყუმბარებით და ავტომატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს. კიდევ ცოტა ხანი და ისინი ცოცხლად დაიმარხებოდნენ, ჩვენს არტილერისტებს რომ არ ეხსნათ. მათ ცეცხლი გაუხსნეს მტერს და ჰიტლერელები აიძულეს უკან დაეხიათ.

რაიონი, რომელსაც პირველი ბატალიონი იცავდა, მტრის მთავარი დარტყმის ადგილი გამოდგა. მოწინააღმდეგე იმედოვნებდა, აქ გაერღვია თავდაცვა და „სიკვდილის ველზე“ წინსვლით შუაზე გაეკვეთა მცირე მიწა, რათა ნაწილ-ნაწილ გაენადგურებინა მისი დამცველები. მაგრამ მტრის განზრახვას ახდენა არ ეწერა.

მტრის პირველი იერიშების მოგერიების შემდეგ აზიროვის მეავტომატეებმა დაიკავეს ძველი დანგრეული სახლი, რომელიც ოდესღაც „მისხაკოს“ მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობას ეკუთვნოდა. მეავტომატეთა ასეულის მეთაურმა აზიროვმა პირველი ბატალიონის მეტყვიამფრქვევეთა ასეულის მეთაურ ივანე ტერეშჩენკოსთან ერთად სახლი თავისებურ ციხე-სიმაგრედ აქცია. მოწინააღმდეგის მხარეზე ფანჯარასთან დაზგის ტყვიამფრქვევი დადგეს, ხოლო ზურგში, მთის მხარეს, გაჭრეს კედელი, ამოთხარეს თავსაცავი, რომელსაც სათადარიგო გამოსასვლელი გაუკეთეს. თითოეულმა მებრძოლმა გარკვეული ადგილი დაიკავა.

რამდენიმე დღეღამის განმავლობაში ამ ერთმა მუჭა გამბედავებმა მოწინააღმდეგის ბევრი იერიში მოიგერიეს. დაზგის ტყვიამფრქვევთან, ავტომატებთან და შაშხანებთან ერთად აამოქმედეს „ლიმონკები“ და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარები, ბოთლები ცეცხლგამჩენი სითხით. ამ პატარა სახლის მისადგომებთან ასობით ფაშისტი დაიხოცა.

ღამით, როცა ბრძოლა მინელდებოდა და ჰიტლერელები მორიგი იერიშისთვის ეშზადებოდნენ, მებრძოლები აზიროვისა და ტერეშჩენკოს მეთაურობით სახლიდან გამოდიოდნენ, ხრამების გავლით „მოენის“ შესაპყრობად მიდიოდნენ მტრის განლაგებაში და თუ ეს არ ხერხდებოდა, მაშინ უეცარი თავდასხმით პანიკას იწვევდნენ მათში. ერთ-ერთი ასეთი გასვლისას შეძლეს ტყვედ ეგდოთ ოფიცერი, რომელიც მესანგრე გამოდგა. ტყვე ოფიცერი იძულებული გახდა, მეტად ძვირფასი ცნობები გადაეცა ჩვენებისათვის.

აზიროვისა და ტერეშჩენკოს მხარდამხარ მამაცურად იბრძოდა ბევრი ჩვენი სხვა თანამემამულე. მათ შორის იყო საგარეჯოელი არსენ გრძელაშვილი. ომამდე იგი კოლმეურნეობის ფარეს მწყემსავდა. არსენმა მტერს გაშანადგურებელი ცეცხლი შეაგება, თვითონ მძიმედ დაჭრილს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ხელიდან არ გაუშვია იარაღი. არსენ გრძელაშვილის მამაცობით მთელი ასეული ამაყობდა, განსაკუთრებით მისი თანამემამულე არტემ აზიროვი, რომელთანაც მას დიდი მეგობრობა აკავშირებდა. მათ ხომ ერთად მოუხდათ კავკასიის მთებში მტერთან შერკინება, შემდეგ კი მცირე მიწაზე გადასხდომა, სადაც არაერთ ბრძოლაში მიუღიათ მონაწილეობა ერთი კუთხის ადამიანებს, — არტემის მშობლებიც ხომ წარმოშობით საგარეჯოს რაიონიდან იყვნენ.

ასეულის მეთაური აზიროვი და რიგითი ჯარისკაცი გრძელაშვილი ბრძოლისაგან თავისუფალ დროს კარგი ძმებივით ერთად იყვნენ — მათი სანგრები მეზობლად იყო და ხშირად ერთი ჭურჭლიდან მიირთმევდნენ. ბევრი უძილო, მშფოთვარე ღამე გაუტარებიათ ხანგრძლივ საუბრებში, იგონებდნენ მშვიდობიან ცხოვრებას, საყვარელ თბილისს, საგარეჯოს, მშობლებსა და ახლობლებს. ლაპარაკობდნენ მომავალ მშვიდობიან ცხოვრებაზე, თავიანთ ომის შემდეგ შეხვედრებსა და მეგობრობაზე, მაგრამ ვაი რომ გრძელაშვილის ოცნება ოცნებად დარჩა!

ერთხელ, მტერთან შეტაკებისას, აზიროვმა მისი გულითადი მეგობარი სასიკვდილოდ დაჭრილი, მიწაზე გაშხლართული ნახა. არტემს ცრემლები მოადგა თვალებზე და თავისთვის ჩაილაპარაკა: „ძმაო, არსენ, გმირი იყავი და გმირულად დაეცი. ვიდრე ცოცხალი ვიქნები, მცირე მიწას არც მე დავტოვებ“.

როგორც კი ოდნავ ცეცხლი შენელდა, არტემმა ჯარისკაცების დახმარებით დაღუპული მეგობარი სასწრაფოდ გათხრილ სამარეს სასოებით მიაბარა. მცირე ხნით მუხლი მოიყარა საბარესთან ღრმა პატივისცემის ნიშნად, მერე ზეზე წამოდგა, ერთხელ კიდევ მოავლო თვალი მეგობრის სამარეს და გულმოკლული დაემშვიდობა: „მშვიდობით, არსენ, მშვიდობით. სანამ ვიცოცხლებ, არ დაგივიწყებ, ძმაო!“ მას თითქოს ესმოდა არსენის წინადღით ნათქვამი სიტყვები: „არტემ, შინიდან წერილი მივიღე, გოგო შემეძინა, დოდო დაურქმევიათ, ნეტავ, ერთხელ მაინც მანახა, უბრალოდ თვალი რომ შევავლო, მეტი არაფერი მინდა“.

გაახსენდა არტემს ეს სიტყვები და ატირდა ვაჟკაცი...

ომის დამთავრების კარგა ხნის შემდეგ არტემ აზიროვმა თავის თანამებრძოლ მცირემიწელებზე წერილი დაწერა და გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნა. ბუნებრივია, წერილში მოიხსენია მცირე მიწაზე დაღუპული არსენ გრძელაშვილიც.

წერილის გამოქვეყნებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ არტემის ბინის კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა. არტემმა კარები გააღო. მის წინ იდგა სახედანაღვლიანებული, თვალებზე ცრემლმომდგარი ახალგაზრდა ქალი. სტუმარმა ათრთოლებული ხმით თქვა, მე არსენ გრძელაშვილის ქალიშვილი ვარო. არტემს უეცარი სიხარულითა და მწუხარებით ლამის ენა დაება, მერე მისდა უნებურად აღმოხდა: ნუთუ არსენას ქალიშვილი ხარ?!

არსენ გრძელაშვილის ასული დოდო ახლა ხუთი შვილის დედაა. მათი ოჯახები, როგორც იტყვიან ხოლმე, ლხინსა და ჭირში გახუყრელნი არიან. არტემს უხარია, რომ მისი ოჯახის წევრებიც როგორც ნათესავს, ისე ეპყრობიან მცირემიწელი მეგობრის ქალიშვილს.

მას შემდეგ, რაც არსენ გრძელაშვილი სამარეს მიაბარა, ვინ მოსთვლის კიდევ რამდენ ცხარე ბრძოლაში მიუძღოდა უშიშარი ოფიცერი მეავტომატეებს, რამდენ გათავხედებულ ომსდურს აგემა ძალა და მრისხანება საბჭოთა იარაღისა, რამდენ ფაშისტს ანყვლინა დღე გაჩენისა! და ყოველთვის მის წინ მუდამ იდგა არსენ გრძელაშვილისა და ცეცხლოვან მიწაზე გმირულად დაცემული სხვა მეგობრების სახეები, მუდამ ჩაესმოდა ნაღვლიანი ჩურჩული მშობლებისა: „აბა შენ იცი, როგორ გვასახელებ, შვილო არტემ!“ ეს ის სიტყვები იყო, ომის დაწყების პირველ დღეს რომ უთხრეს ანა და ივანე აზიროვებმა თავიანთ ცხრამეტი წლის ვაჟს.

ტამანის ნახევარკუნძულზე გაჩაღებულ ერთ-ერთ სასტიკ ბრძოლაში, 1943 წლის მიწურულს, არტემ აზიროვი დაიჭრა. ჭრილობა იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ დემობილიზებულ იქნა და ისევ თავის მშობლიურ თბილისს დაუბრუნდა, მშვიდობიან შრომას შეუდგა. მძიმე ჭრილობა, რომლის გამოც არტემ აზიროვი არმიიდან დაითხოვეს, რიგით მესამე იყო. მანამდე ორჯერ დაიჭრა მცირე მიწაზე...

ფრონტული შემართებით

ბრძოლის ქარცეცხლში ნათქვამი ფიცის წმიდათაწმიდა განაწესს იცავდა არტემ აზიროვი ყველგან, სადაც კი მუშაობდა, შრომობდა, მოღვაწეობდა, იღწოდა — იყო ეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზაციები თუ ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველო, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომი თუ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. ამ ურყევი მხედრული ფიცის წმიდათაწმიდა განაწესის ერთგული და პრინციპული დამცველია არტემ აზიროვი დღესაც.

უკვე მეშვიდე წელია საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივნის პოსტზე მოღვაწეობს და დიდ, თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევს. უპირველესი წარმატება რაიკომის მდივნისა კი ის არის, რომ მისი სწამთ, სჯერათ რაიონის მშრომელებს, მის რჩევასა თუ მითითებას გულისყურით ისმენენ, ენდობიან.

არაერთხელ გამიგონია ჩემს ფრონტელ მეგობარზე ნათქვამი: „არტემ აზიროვი მთელი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ახორციელებს იმას, რისკენაც სხვებს მოუწოდებს!“.

ეს სიტყვები უპირველეს ყოვლისა იმაზე მეტყველებს, რომ არტემ აზიროვი უაღრესად მახვილი, დახვეწილი პოლიტიკური ალღოს კომუნისტი ხელმძღვანელი მუშაკია. იგი დროულად ამჩნევს ყოველივე ახალს, პროგრესულს, დღევანდელობისათვის აუცილებელს, საჭიროს და ჩვე-

ული მხედრული შემართებით, შეუპოვრობითა და პრინციპულობით იბრძვის ცხოვრებაში მისი დანერგვა-დამკვიდრებისათვის.

ასეთივე მხედრული შემართებით, ჭეშმარიტი კომუნისტური მგზნებარებით, პრინციპულობითა და მომთხოვნელობით იბრძვის იგი ყოველი დრომოჭმულის, დახავსებულის, ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ.

არტემ აზიროვისათვის მშვიდობიან წლებშიც, ისე როგორც ფრონტზე, არ არსებობს ბრძოლა გამარჯვების გარეშე, შრომა-გარჯა — დადებითი შედეგის გარეშე. ეს მისი შინაგანი ბუნებიდან, მისი ხასიათიდან მომდინარეობს. მის მიერ ნათქვამი სიტყვა ასგზის არის გაზომილ-აწონილი, სხვათა მოსაზრებასთან გულდასმით შეჯერებული. მის მიერ მიღებული ესა თუ ის გადაწყვეტილებაც მრავალგზის არის გონების თვალით განჭვრეტილი, კოლექტიური აზრის ქურაში გატარებული, გონივრულად დასაბუთებულ-დაზუსტებული.

ჭეშმარიტი ფრონტული შემართებითა და შეუპოვრობით იბრძვის პარტიის ოქტომბრის რაიკომი კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ, აღმოსაფხვრელად იმ გულსატკენი მოვლენებისა, რაზეც ახალი ძალით გაამახვილა ყურადღება 1980 წლის დასაწყისში გამართულმა ჯერ რესპუბლიკურმა პარტიულმა აქტივმა, შემდეგ კი სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ.

არტემ აზიროვის პარტიული მოღვაწეობის უაღრესად დახვეწილი, საქმიანი სტილი და მეთოდი მშრომელი ადამიანების სულისკვეთებიდან მომდინარეობს, მათი ჭირითა და ლხინითაა ნაკარნახევი და ამიტომ არის უაღრესად მაღალნაყოფიერიც. ამის შესახებ მრავალჯერ ითქვა საქალაქო და რესპუბლიკური ფორუმების ტრიბუნიდან. 1978 წელს რესპუბლიკისათვის საკავშირო გარდამავალი წითელი დროშის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა:

„ცენტრალურ კომიტეტში ჩვენ გავეცანით აგრეთვე დისციპლინის განმტკიცებისათვის პარტიის ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიკომის მუშაობის გამოცდილებას, დღეს უკვე შეიძლება ვილაპარაკოთ ამ მუშაობის პირველ პრაქტიკულ შედეგებზე. იგი წარმოებს კომპეტენტურად, გამიზნულად, პრინციპულად, ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით. ამ მუშაობას სათავეში ჩაუდგა პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ა. აზიროვი და, უნდა ითქვას, რომ ამ საქმის წარმატებას გარკვეულად ხელს უწყობს მისი პირადი თვისებები, ხოლო ხელმძღვანელის პირად თვისებებს, პირად მონაცემებს, ორგანიზატორულ და პოლიტიკურ უნარს არანაკლები მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი მუშაობისათვის. ამხ. ა. აზიროვი, რომელსაც დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება (არ შემიძლია არ შეგახსენოთ, რომ იგი იყო ერთ-ერთი პირველი მედესანტე მცირე მიწაზე) და პარტიული მუშაობის კარგი გამოცდილება აქვს, გაბედულად და მტკიცედ ახორციელებს პარტიის გადაწყვეტილებებს შრომის სოციალისტური დისციპლინის განსამტკიცებლად. რაიონის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის კადრების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, სწორად ახამებს ერთმანეთთან მუშაკებისადმი ნდობასა და მომთხოვნელობას და ყოველივე ეს, ბუნებრივია, გავლენას ახდენს საქმეზე: ახლა რაიონი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს სამრეწველო პროდუქციის ნარმოებისა და რეალიზაციის დავალებებს“.

მართლაცდა საამაყო დახასიათებაა პარტიული მუშაკისა!

არტემ აზიროვის საბრძოლო და შრომითს წარმატებებს რომ ვეცნობით, ბუნებრივად იბადება კითხვა, რით აღწევს ყოველივე ამას იგი? რა თქმა უნდა, იმით, რომ ღრმად იხედება მშრომელი ადამიანის სულში, გულისხმიერად, ყოველგვარი წვრილმანის ზუსტი გათვალისწინებით ეკიდება მის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებას, უსმენს და მუშაობაში ითვალისწინებს, იყენებს მშრომელი ადამიანის მოსაზრებებს, მის შეხედულებებს, მტკიცედ იცავს კადრების შერჩევის, განაწილებისა და დაწინაურების ლენინურ პრინციპებს, არის ჰუმანური და პრიხციპული, ნათქვამი სიტყვის პატრონი.

მოვიყვან კიდევ ერთ ასეთ ადგილს 1979 წლის 31 ოქტომბერს გამართული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებიდან: „ცოდნის დაუფლება თითოეული ხელმძღვანელის შინაგანი მოთხოვნილება უნდა გახდეს. საგულისხმოა საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. ა. ი. აზიროვის მაგალითი. ეს ღრმად ერუდირებული და მომზადებული კაცი ისე რაციონალურად წარმართავს თავის მუშაობას, რომ ყოველდღიურად შეძლოს თავისი უაღრესად დაძაბული დროის ბიუჯეტიდან ერთი-ორი საათი მაინც მოახმაროს ახალი ცოდნის დაუფლებას“.

ამ ამონაწერიდან თვალნათლივ ჩანს, რომ არტემ აზიროვი ოსტატურად ახამებს პრაქტიკული და თეორიული ცოდნის ამაღლებას. ამ საქმეში იგი ფართო საზოგადოებრივ აქტივს ეყრდნობა, მან ხომ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი პარტიულ მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების გამოყენების თაობაზე დაიცვა.

საქმისადმი სიყვარული, პასუხისმგებლობისა და პრინციპულობის გრძნობა მუდამ იჩენს თავს კონკრეტულ საქმეებში. ოქტომბრის რაიონი, რომელმაც მეათე ხუთწლედის ოთხი წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, გეგმის გადამეტებით გამოუშვა თერთმეტ მილიონზე მეტი სამრეწველო პროდუქცია — ერთ-ერთი მოწინავეა, როგორც თბილისში, ისევე მთელ რესპუბლიკაში. ამ მხრივ დამახასიათებელია ხუთწლედის მეოთხე, 1979 წელი. რაიონის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფო დავალებანი...

... აქვე არ ძალმიძს მკითხველს არ ვაუწყო, რომ არტემ აზიროვს შრომისმოყვარეობით, მინდობილი საზოგადოებრივი საქმისადმი ღრმა ერთგულებით მხარს უმშვენებენ მეუღლე სვეტლანა, ვაჟი — საბჭოთა არმიის კაპიტანი ანატოლი და ქალიშვილები — ანა და ვალენტინა. სადაც ისინი მუშაობენ, დამსახურებული ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობენ.

ბრძოლის ველზე გმირული შემართებით, თავდადებული, უმწიკვლო შრომით, კეთილშობილებითა და გულისხმიერებით, ყველა იმ ძვირფასი ადამიანური თვისებით, რაც ამ შესანიშნავ პიროვნებას გააჩნია, არტემ აზიროვმა დედაქალაქის კომუნისტების, რესპუბლიკის მშრომელთა გულწრფელი სიყვარული მოიპოვა. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ახლახან იგი კვლავ აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

...ამას წინათ, ჩვენი რესპუბლიკისათვის საკავშირო წითელი დროშის მეშვიდეჯერ გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე შევხვდი არტემ აზიროვს და მეგობრულად შევეხმიანე:

— შენი ამბავი რომ ვიცი, ჩემო არტემ, სრულებითაც არ გაგიჭირდება აღიარებას ახალი დიდი საქმეებით უპასუხო და კვლავაც დაიმკვიდრო ადგილი მონინავეთა შორის.

არტემმა წარბები შეჭმუხნა და მოკლედ მომიჭრა:

— ხომ გაგიგონია, ბრძოლის ველზე ერთი მეომარი ვერაფერს გახდება.

— მაინც რას გულისხმობ?

— რას ვგულისხმობ და ჩვენს რაიონში თუ რაიმე გაკეთდა, კეთდება და მომავალშიც გაკეთდება პარტიის რაიკომის, რაიონის ყველა კომუნისტის, ყველა მშრომელის თავდადებული, მუყაითი შრომით, საერთო მონდომებით.

მცირე პაუზის შემდეგ არტემ აზიროვმა მისთვის ჩვეული სიდინჯით დასძინა:

— ზედმეტია ფიქრი რაიმე წარმატებაზე, თუ არ არის კოლეგიალობა, ურთიერთგაგება, მუშაობაში შეთანხმებულობა, თუ არ ვითვალისწინებთ საზოგადოებრივ აზრს...

● ●

35 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვებით დასრულდა დიდი სამამული ომი.

გამარჯვების დღეს გილოცავ, ძვირფასო არტემ!

მუდამ გამარჯვების გზით გევლოს, ფრონტელო მეგობარო და კეთილშობილო ადამიანო!

პრესის დღის აღსანიშნავად

გულითადად გილოცავთ!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და პრესის დღესთან დაკავშირებით საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდებანი მიენიჭათ:

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორს, **თეიმურაზ სტეპანოვს** — საქინფორმის დირექტორს, **მიხეილ არაშიძეს** — ჟურნალ „ეკონომისტის“ განყოფილების გამგეს, **ილია ბოლქვაძეს** — მრავალტირაჟიან გაზეთ „ჩვენი საყვირის“ რედაქტორს, **თენგიზ გელაშვილს** — საქართველოს რადიოს პროპაგანდის მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორის მოადგილეს, **ჯიმშერ ენუქიძეს** — გაზეთ „კომუნისტის“ უფროს კორესპონდენტს, **ანდრია ერმაშკევიჩს** — გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას“ რედაქტორს, **ამირან ვადაჭკორიას** — აჭარის ასსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს, **რევაზ იმნაძეს** — გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ განყოფილების გამგეს, **ანტონ კელენჯერიძეს** — პერსონალურ პენსიონერს, **ვახტანგ მაისურაძეს** — გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორის მოადგილეს, **გივი მარუაშვილს** — ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ განყოფილების გამგეს, **ვახტანგ ნიკოლაიშვილს** — გაზეთ „თბილისის“ განყოფილების გამგეს, **სერგი ტერ-ოგანესიანს** — გაზეთ „გუდოკის“ საკუთარ კორესპონდენტს, **ვლადიმერ შლარბას** — გაზეთ „აფსნი ყაფშის“ მთარგმნელს, **გიორგი ხაჩატურიანს** — გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ განყოფილების გამგეს.

ჟურნალ „დროშის“ კოლექტივი გულითადად მიესალმება დაჯილდოებულ ამხანაგებს — ჩვენს ძვირფას კოლეგებს და უსურვებს მათ ახალ-ახალ წარმატებებს თავიანთ დიდ, საშვილიშვილო მოღვაწეობაში.

ახალი ლექსები

1942. სტალინგრადი.

ვახტანგ გორგანელი

მეჩვენება, შემოაღებთ კარებს

თქვენზე ფიქრში მიილია მთვარე,
მზემ სინათლის გადმოშალა ძნები.
მეჩვენება, შემოაღებთ კარებს
ბრძოლის ველზე დაცემული ძმები.

თქვენ რომ გულის მაზიარეთ მირონს —
ჩამძახის და მილამაზებს ნატვრას.
არა მარტო თავანკარა ღვინოს,
ფიქრსაც მე თქვენს სადღეგრძელოს ვატან.

გრიგალებში გათენებულ დილას
ახლაც სული ვარსკვლავივით მიაქვს.
იმის შემდეგ ყველა ნათელ ხილვას
და დღის მოსვლას ცხრა მაისი ჰქვია!

სარკმელთან რომ მაგიდასთან კჯდები,
მეჩვენება, სანგარში ვარ ისევ.
გარეთ ვარ და წინ მიხმობენ მთები,
ოქრო სცვივათ გაზაფხულის ნისლებს.

ველ-მინდორსაც, ბადაგში რომ ცურავს
ვეხვევი და... ქედს უსიტყვოდ ვიხრი,
და მგონია, სიყვარულში ვწურავ,
რომ აჩქეფდეს თქვენს ძარღვებში სისხლი.

თქვენზე ფიქრში მიილია მთვარე,
მზემ სინათლის გადმოშალა ძნები.
მეჩვენება, შემოაღებთ კარებს
და გაზაფხულს მომილოცავთ ძმები!

1980 წ.

ვასილ გვეტაძე

ჯარისკაცები

1.

ბინდი მღვრიე და დაულექელი
ცაზე მოლანდა კაცმა მართალმა.
ფეხზე ჩაიცვა შავი ჩექმები,
წელზე უბზინავს თითბრის მათარა.
თოხის მაგივრად მხარზე ჰკიდია
თოფი მრავალი ბრძოლის გამძლები.
წინ ამტვერებულ გზებზე მიდიან
აჟივლებული მისი და-ძმები.
უკვე არ ძალუძს ბუდემოშლილი
და მომდურავი ხალხის დანახვა.
უკან სიმწრისგან ოხრავს ცოლ-შვილი
და ყველაფერი ხვატში გადახმა.
არ შეუძლია მისკენ მიხედვა:
იწვის, ბრიალებს ყანა მოვლილი...
უკან იხევდა, უკან იხევდა,
თოფჩაბღუჯული და გაბოლილი.

2.

იდგა, უცქერდა შუკას, მოედანს,
ბოღმით, მობელილ ტოტის დარადა...
ჰო, ჯარისკაცი უკან ტოვებდა
მიწას, რომელსაც ოდით ბარავდა.
უხმოდ გავიდა მშობლის ეზოდან
და თან წაიღო ვალი მხედრული.
მერე მას ყველგან ცხადად ესმოდა
მოთქმა გათელილ მამულ-დედულის.

3.

მაგრამ მგრგვინავი ვაშაც შეესმა
და ამღვრეულმა თვალმა მოლანდა:
შავად ჩაინთქა ხიდი შპრეესთან
და ბრანდენბურგი კვამლში ბოლავდა.
ურდო კი ჰგავდა ღვარებს მოდენილს
და ძლივს-ძლივობით წელს მიარხევდა...
თვალით აზომა მდოვრე ოდერი
და ხელმოჩრდილვით ბერლინს გახედა.
ცხელი ალმური ირგვლივ უვლიდა,
ჰყეფდა სიკვდილი ბოლო ვაზნიდან,
მან აიტანა დროშა უბითა
და რაიხსტაგის თავზე აზიდა.

4.

ომმა, თუმც ძვლების თრევა უმძიმდა,
მსახვრალი ხელი სხვასაც დარია.
მაღლა ის დროშა არ აუზიდავს
მარტო ეგოროვს და ქანთარიას.
ჰო, ბევრმა სული ისე დაცალა,
დროშისთვის ხელი არც კი უხლია.
მაგრამ იმ ბიჭმა, ტანკში დამწვარმა,
ანდა, ვინც ჩაქრა, ვით სხულუხია, —
არ შეაშველეს ხელი დროშის ტარს?
ამ დღის დანახვა ცრემლს არ მოგვრიდათ?
ბათქიც, გუმბათი რომ ჩამოლეწა,
არ წამოვიდა განა ვოლგიდან?!
მოვნახოთ დღემდე მოუნახველი,
წლები სიჩუმეს აღარ გვაცლიან,
თუმცა იმათი გვარიც, სახელიც,
მხოლოდ უცნობი ჯარისკაცია.
სიცოცხლედ, დიად მზის ნაბოძებად,
ოქროს სიმები ჩანგზე აება.
შენ, ჯარისკაცო, თვითონ მოგძებნა,
გმირის სახელმა და უკვდავებამ...

1945. ივლისი.

5.

ცა ამოივსო გმირულ ჰანგებით,
მაგრამ, წარსულო, მაინც არ ცხრები.
გველანდებიან ამხანაგები —
ომში ნანახი ჯარისკაცები...
ძველო ბრძოლებო, დიახ, გიხსენებთ,
რომ განირიდე სული ბოროტი...
ნეტა, ვინ დარჩა ძმებში ისევე
და გზას რომელი მიჰყვა ბოლომდი!

6.

დავინყება ხომ სიკვდილს ედრება
და გახსენებაც მწველი დარდია...
მე დავინახე: კრემლის კედლებთან,
როგორ განლაგდა ძველი გვარდია.
მე გავიგონე მხნე ნაბიჯებიც,
პირი შეეკრა მტკივან იარებს,
და ამოვიდნენ ლანდად ბიჭები,
აქ, იმ ზამთარში, რომ გაიარეს.
და ქარს ამოჰყვა ხმა ბუკ-ნაღარის
და ბუშლატები ამოფრიალდა,
გადაფერილა ოღონდ ჭაღარით
ძველი მწკრივები შავქოჩრიანთა.
სითბო და ურჟოლა სხეულს მოედვა
და შეაჟრჟოლა ლანდებს აშკარად.
დილამ დახედა წითელ მოედანს
და ჭვარტლიანი ღამე წაშალა.
და დაიარა ვერდაძლეულთა
ჯარები, მწკრივად დაწყობილები.
აღლუმზე დიად მავზოლეუმთან
წინ შეეგებნენ მამებს შვილები.
ჩამოიქროლა ხმლებით ლაშქარმა
და გამოიღო სპასკის კარიბჭე...
გმადლობთ, სამშობლოვ, რომ კვლავ აქა ვართ
და ეს უკვდავი დღე მოგვანიჭე!
გრგვინავს გვარდია ლაღად, მხრებგაშლით,
კრემლის კოშკებზე ყღერენ ზარები.
მიფრიალებენ უკვდავებაში
ტყვიით გახვრეტილ რუხ მაზარებით...

7.

სადაა სიტყვა მათი შემქები —
სტრიქონი მქროლავ ქარის სილაღით...
თოფი, მათარა, შავი ჩექმები,
ზურგზე ჩანთა და აირწინაღი.
ნატვრა: სისხლისღვრა მალე გათავდეს...
სახე ოფლით და ხვატით ნამცვრევი...
ისევ მიდიან ჩემს წინ აქამდე
იმ მტვრიან გზებზე ჯარისკაცები.

1980 წ.



თენგიზ სამსონაძე—
საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სატელევიზიო ფილმების სტუდიის მთავარ მხატვარს **თენგიზ მიხეილის ძე სამსონაძეს** მიენიჭა „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდება.

ჟურნალ „დროშის“ კოლექტივი სულითა და გულით ულოცავს ჩვენი ჟურნალის აქტიურ თანამშრომელს თენგიზ სამსონაძეს მისი შთაგონებული შრომის ასეთ მაღალ შეფასებას და უსურვებს მას ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

გვარდიული კორპუსის კოშესარი

ლევან დოლიძე

მიხეილ ჩიქოვანი 1943 წ.

დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში მილიონობით მამულიშვილი ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. ერთ-ერთი მათგანი იყო მიხეილ ჩიქოვანი, რომელმაც ომის ქარცეცხლში გაიარა საბრძოლო დიდების გზა სტალინგრადიდან ვენამდე, ვოლგის ნაპირებიდან ავსტრიის მდინარე ენსამდე.

ჩვენი თანამემამულე მიხეილ ჩიქოვანი ომამდე უზბეკეთში მუშაობდა. იყო უზბეკეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, პარტიის ტაშკენტის საოლქო კომიტეტის მდივანი. დიდმა სამამულო ომმა მიხეილ ჩიქოვანს სამარყანდში მოუსწრო, სადაც იგი პარტიის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად მუშაობდა.

სხვა პარტიულ მუშაკებთან ერთად, მიხეილ ჩიქოვანი ომის დაწყების პირველ დღეებში მოსკოვში გამოიძახეს, რომ პოლიტკომისრად მოემზადებინათ. დრო აღარ ითმენდა, მტერი უკვე მოსკოვს უახლოვდებოდა. მიხეილი სასწრაფოდ ჩარიცხეს ერთ-ერთ სატყვიამფრქვევო-გამანადგურებელ რაზმში და მოწინავე ხაზზე გაგზავნეს.

პირველი საბრძოლო ნათლობა მიხეილ ჩიქოვანმა მოსკოვთან მიიღო. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა 95-ე ცალკე მსროლელი ბრიგადის ფორმირება, რომლის კომისრადაც დანიშნეს; 1942 წელს მე-4 საკავალერიო კორპუსის პოლიტგანყოფილების უფროსია, შემდეგ კი მე-4 გვარდიული არმიის მე-5 საჰაერო-სადესანტო დივიზიის მე-20 გვარდიული ბუდაპეშტის კორპუსის პოლიტკომისრად განაწესეს.

ამ არმიასთან ერთად გაიარა მიხეილ ჩიქოვანმა სახელოვანი ბრძოლების გზა, ვიდრე სანუკვარი გამარჯვების დღე დადგებოდა.

ომის დამთავრების შემდეგ მიხეილ ჩიქოვანი დაბრუნდა უზბეკეთში, სადაც პარტიის ტაშკენტის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს. მალე იგი მოსკოვში გადაიყვანეს პასუხსაგებ პარტიულ სამუშაოზე.

1953 წლიდან მიხეილ ჩიქოვანი საქართველოშია. იგი ჯერ პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდა, შემდეგ — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. 1967 წელს მიხეილ ჩიქოვანს ნიშნავენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ, სადაც პენსიაში გასვლამდე — 1977 წლამდე მუშაობდა.

მიხეილ გერასიმეს ძე ჩიქოვანი შარშან გარდაიცვალა. ხალხმრავალ სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მოსკოვის, ოდესის, აფხაზეთის დელეგაციები. სამძიმრის დეპეშათა შორის იყო მიხეილ ჩიქოვანის მეგობრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის შარაფ რაშიდოვის დეპეშაც...

ახლა, როცა დიდ სამამულო ომში გამარჯვების 35-ე წლისთავს ვზეიმობთ, ჟურნალ „დროშის“ მკითხველებს მინდა მოვუთხრო რამდენიმე ეპიზოდი მე-20 გვარდიული ბუდაპეშტის კორპუსის პოლიტგანყოფილების უფროსის, პოლკოვნიკ მიხეილ ჩიქოვანის მდიდარი საბრძოლო ბიოგრაფიიდან.

ეს ეპიზოდები დიდი სამამულო ომის დამთავრების უკანასკნელ დღეს და მშვიდობიანი ცხოვრების პირველ დღეებს შეეხება.

მე-20 გვარდიული ბუდაპეშტის კორპუსი, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-ლეიტენანტი ნ. ბირიუკოვი სარდლობდა, დასავლეთ ავსტრიაში იბრძოდა.

1945 წლის 8 მაისს ავსტრიაში დაიწყო ჩვენი ჯარების საბოლოო შეტევა.

საარტილერიო მომზადების შემდეგ ნ. ბირიუკოვის გვარდიელებმა მოწინააღმდეგის დაცვა გაარღვიეს და წინ გაიჭრნენ.

ავსტრიის უძველესი დედაქალაქის მელკის რაიონში ბრძოლები მიმდინარეობდა. ამ რაიონში თავმოყრილი იყო მოწინააღმდეგის ძლიერი სატანკო შენაერთები, რომლებიც გააფთრებით ებრძოდნენ საბჭოთა ჯარებს.

მიხეილ ჩიქოვანის სადესანტო-სატანკო დამკვრელმა ჯგუფმა მტერი შემუსრა და პირველი შეიჭრა ქალაქ მელკში.

განთავისუფლებული ქალაქის დასავლეთით მაშინვე დაეშვა ამერიკელთა თვითმფრინავი, რომელსაც ლეიტენანტები ნოიბერგი და ლოიგლანდი მართავდნენ. მოკავშირეთა თვითმფრინავის დაშვების ადგილზე დაუყოვნებლივ მივიდა კორპუსის პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი მიხეილ ჩიქოვანი.

მალე ნათელი გახდა, რომ მოკავშირეთა ჯარის ნაწილები ბრძოლის ადგილიდან 80-90 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ენსთან იყვნენ განლაგებულნი.

მოკავშირეთა არმიის ამ მოწინავე ნაწილებთან ახლა უშუალო კონტაქტის დამყარება იყო საჭირო. გვარდიული ბუდაპეშტის კორპუსის ნაწილებმა ოპერაციის გეგმა ნაწილობრივ შეცვალეს: ქალაქ მელკის განთავისუფლების შემდეგ მათ მტრის დევნა მოკავშირეთა ადგილსამყოფელის მიმართულებით დაიწყეს.

დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე ერთი დღეღა იყო დარჩენილი. კორპუსის მებრძოლებმა გატეხეს ჰიტლერელთა დაქსაქსული ჯარების წინააღმდეგობა, ხელთ იგდეს სამხედრო ტექნიკა და მრავალი ტყვე, ზედიზედ გაანთავისუფლეს ქალაქები პეხელორი, იბსი, შეიბე, მრავალი დაბა, დასახლებული პუნქტი.

კორპუსის გვარდიელებმა ბრძოლებით გაიარეს ის ისტორიული ადგილები, რომლებშიც ას ორმოცი წლის წინათ ნაპოლეონის არმიას გმირულად ებრძოდნენ ფელდმარშალ მ. კუტუზოვის რუსი ჯარისკაცები.

დამკვრელური ჯგუფის შეტევის ზონაში მოთავსებული იყო რამდენიმე საკონცენტრაციო ბანაკი. საბჭოთა მებრძოლების მიახლოებისთანავე ბანაკების დაცვა პანიკამ მოიცვა, მათ უველაფერი მიატოვეს და თავზარდაცემულნი გაიქცნენ.

სიკვდილის ბანაკის ყველა პატიმარი, ვისაც სიარული შეეძლო, გზატკეცილზე გამოვიდა სიხარულით აცრემლებულმა, მისუსტებულმა ადამიანებმა გზა ჩახერგეს. ისინი ხელებგაშლილი მიესალმებოდნენ განმათავისუფლებელ საბჭოთა მებრძოლებს, ერთმანეთს ეხვეოდნენ, ტიროდნენ, ბედნიერების ღიმილი უბრწყინავდათ სახეებზე.

ჩახერგილ გზასთან სატანკო კოლონა შეჩერდა. საკონცენტრაციო ბანაკებიდან განთავისუფლებული ნატანჯი ადამიანების ასეთმა შეხვედრამ ყველა აალელვა. მიხეილ ჩიქოვანმა მოზღვავებული გრძნობები დაიოკა, ტანკიდან გადმოვიდა, განთავისუფლებულ ტყვეებს სთხოვა, რომ საბჭოთა არმიის ძირითადი ნაწილების მოსვლამდე თავიანთ ადგილებს დაბრუნებოდნენ და სატანკო-დამკვრელური ჯგუფისთვის გაენთავისუფლებინათ ჩახერგილი გზა.

რამდენიმე წუთის შემდეგ გზატკეცილი უკვე თავისუფალი იყო, ჩვენი ტანკები სწრაფად დაიძრნენ წინ.

დღის მიწურულს ტანკებმა მდინარე ენსს მიაღწიეს. აი აქ, ამ მდინარესთან შეხვდნენ ერთმანეთს მოკავშირეთა ჯარების ნაწილები.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ამ ადგილებში მდინარე ენსზე გავიდა სადემარკაციო ხაზი.

ამერიკელებმა სურვილი გამოთქვეს, რომ საბჭოთა კორპუსის სარდლობას შეხვედროდნენ. ამერიკელ გენერალთა და ოფიცერთა კორტეჟი, რომლის მეგზური მიხეილ ჩიქოვანი იყო, მალე მე-7 საჰაერო-სადესანტო დივიზიის შტაბში მივიდა. ცოტა ხნის შემდეგ შტაბს გვარდიის გენერალ-ლეიტენანტი ნ. ბირიუკოვიც ეწვია.

ამერიკელები აღფრთოვანებული იყვნენ საბჭოთა არმიის გაუტეხელობით, თავდადებით, სიმამაცით, სამაგალითო გმირობით. ამერიკელთა დელეგაციას, მათივე თხოვნით, გადაეცა სია თოთხმეტი საბჭოთა ოფიცრისა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ბრძოლებში და პირველნი შეხვდნენ მოკავშირეთა ჯარებს.

თოთხმეტ საბჭოთა ოფიცერს, რომელთა შორის მიხეილ ჩიქოვანიც იყო, საზეიმოდ გადაეცა ამერიკის საბრძოლო ჯილდოები. თავის მხრივ, საბჭოთა სარდლობამ ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა თოთხმეტი ამერიკელი მეომარი.

ასე დასრულდა ეს დღე — 1945 წლის 8 მაისი. მეორე დღეს კი — 9 მაისს ღამით, რადიომ მსოფლიოს აუწყა ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის ამბავი.

გათენდა პირველი მშვიდობიანი დილა — 9 მაისი. დასასრული აღარ უჩანდა მილოცვებს, ხვევნას, სიხარულის ცრემლებს...

მოკავშირეთა ნაწილების ერთ-ერთ შეხვედრაზე კორპუსის პოლიტგანყოფილების უფროსმა, პოლკოვნიკმა მიხეილ ჩიქოვანმა საკითხი დააყენა რომ მოკავშირეებს საბჭოთა მხარისთვის გადმოეცათ ფაშისტი სამხედრო დამნაშავეები.

სულ მალე სადემარკაციო ხაზიდან მიხეილ ჩიქოვანს პოლკის უფროსმა დაურეკა და აცნობა, ამერიკელებს ჩვენთან მოჰყავთ ფაშისტური გერმანიის ერთ-ერთი უმაღლესი სამხედრო პირი, გენერალ-ფელდმარშალი ფრანც შერნერიო.

მიხეილ ჩიქოვანი დაუყოვნებლივ დაუკავშირდა არმიის სარდლობას და შტაბის უფროსს გენერალ-ლეიტენანტ კ. დერევიანკოს.

კორპუსის შტაბის შენობას ამერიკული „ვილისი“ მოადგა. მოკავშირეთა ოფიცერმა და რამდენიმე სერჟანტმა ოთახში შემოიყვანეს ტყვე — გენერალ-ფელდმარშალი შერნერი.

ეს ზორბა ტანის, მხარბეჭიანი კაცი ჰიტლერის ერთ-ერთი იმედი და საყვარელი პიროვნება იყო.

გიორგი პაპუაშვილი

ლოესანაყოლი

მოთხრობა

იმ წელიწადს დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი სამებაზე. აქ იყო დიდი და პატარა, ვისაც კი ძალ-ღონე შერჩენოდა სამების მთაზე ასვლისა. სპორტის ძველი მოყვარულნი კი გულისტკივილით იხსენებდნენ იმ ვაჟკაცებს, რომლებიც ომის გამო ჭიდაობას ვეღარ ესწრებოდნენ. როცა, რომელიმე სოფლის ფალავანი ჩვენსას წააქცევდა, მწარედ ამოიოხრებდნენ ხოლმე:

— ოთიაანთ დათო უნდა იყოს აქა და ის გააგებინებდა მაგ ფალავანსა!

— სად არის კუდა?! კოზმანაშვილი?! ნინაშვილი?!

— სტეფანე როგორი იყო?.. სესიკელაანთ ლევანას ლადო?.. კუპწო?.. იოველა?.. დავითა?.. დიფმელაანთ ლექსია?.. მაკაანთ ბიჭები?.. სეითა?!.

— ეგ რა ჭიდაობაა? ეგ ხომ ბოლარძუნია! — იწუნებდა კანჯარაული ლევანა და რევოლუციამდელ მოჭიდავეებს იხსენებდა, — ჭიდაობა ის იყო, ქუცაანთ ილო რო გადმოხტებოდა ხოლმე წრეში, არა, კიდევა — მაკაანთ გიორგა.

ვიღაცამ დაიძახა, სამებისკენ „ვილისი“ მოდისო.

ბიჭებმა პატარა გორაკი ავირბინეთ, საფლავის ქვებზე ავიკუნწლენით და ცქერად ვიქეცით. ავტომანქანა რომ წელჩატეხილ გზაზე ჩაქანდა, ცოტათი თვალს მიეფარა, ვეღარ ვითმენდით, სანამ ისევ გამოჩნდებოდა. აი, გამოჩნდა კიდეც და როცა მოგვიახლოვდა, თავახდილ მანქანაზე მდგომთაგან ჩვენი სოფლის ექიმი კატო ისაკაძე ვიცანით.

— ნეტავი, რა უნდათ?!

ერთურთთან დასაძგერებლად გამზადებული მოჭიდავეები გახევდნენ, მოცეკვავეებმა ცეკვა შეწყვიტეს, დოლ-გარმონმაც ხმა გაიკმინდა და ერთმანეთის სუნთქვაღა გვესმოდა.

მანქანა ხალხს შემოერია და მაშინღა გაჩერდა. ექიმმა გვერდით მდგარ კაცებს რაღაც გადაულაპარაკა, მერე ჩაახვალა, ნერწყვი გადაყლაპა და ხელის აწევით დაიძახა:

— ამხანაგებო, ომი დამთავრდა!

— უااااااა!.. გულიდან ამოგვსკდა ერთიანი გაბმული გუგუნი და კარგა ხანს აღარ შეწყვეტილა. აბღავლებული ცხვარ-ბატკანივით დაეოივნენ ერთმანეთს და აღარ იცოდნენ, ვინ ვის ჰკოცნიდა.

— ჩვენი ტანჯვა დამთავრდა, ამხანაგებო! ჩავაძაღლეთ საზიზღარი ურჩხული! — გაჰკიოდა კატო ექიმი, მაგრამ მას უკვე აღარავინ უსმენდა, რადგან გუგუნი გრძელდებოდა — გულის სიღრმიდან ამოვარდნილი, გამაყრუებელი, ეროუანტლისმომგვრელი, გაუთავებელი გუგუნი.

ეკლესიის ნანგრევებთან გულიკო შევნიშნე. ცალხელა ქმარს საღ ჩკლავზე მიხუტებოდა და ცრემლად იღვრებოდა. მის გვერდით ვიღაც თვალჟუჟუნა, ტანდაბალი ქალი აღტაცებით გაიძახოდა:

— მაშ, ომი დამთავრდა, ქა? მაშ, ჩემი ქმარი დაბრუნდება, ქა?!.

— დაბრუნდებიან, შვილო, ყველანი დაბრუნდებიან! — აქეთ-იქით აიმედებდა ჯმუხი ბერიკაცი, — დაწყნარდით, ხალხო, მოგვასმენინეთ!

ორი ახალგაზრდა ქალი ერთმანეთს ისე ჩასტყუპებოდა, ერთხორცად ქცეული გეგონებოდათ. უფრო მოშორებით კი ერთი ვირგლა ბიჭი ტანმორჩილ ბალღს მაღლა ისროდა და გაიძახოდა:

— მამაშენი ჩამოვა, მამაშენი ჩამოვა!..

ვიღაც ბერიკაცი მეორე კაცს უმტკიცებდა, დღეს ისეთი დილა გათენდა, ვგრძნობდი, რომ რაღაც უნდა გამხარებოდაო. მეორემ კი ასე უპასუხა:

— ცხრა მაისია, კაცო, ცხრა მაისი!.. რაც თავი მახსოვს, ესე გვიან სამებობა არ დაგვდგომია. გული მიგებდა, აღება რო დიდი იყო, აღდგომაც სასიხარულო დაგვიდგება-მეთქი!

— ომის დაწყებისთანავე სტალინმა თქვა, რომ „ჩვენი საქმე სამართლიანია, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებაო“, — განაგრძო კატო ექიმმა და ხალხი ერთბაშად დაწყნარდა, — ზოგ ურწმუნო თომას მაშინ არ სჯეროდა ამ სიტყვებისა, მაგრამ გავიდა ხანი და ისტორიულმა ფაქტმა დაადასტურა იგი. მართალი საქმისათვის თავგანწირულ მილიონებში ქართველი მეომრებიც მრავლად ურევია. მათ რიცხვში კი ჩვენებურები: დავით და ალექსი სანთელაძეები, ვანო და გიორგი იაღანაშვილები, ნიკო მასწავლებელი, გურმანას ბიჭები...

— მაგის ჩამოთვლას ვინ მაახერხებს, შვილო? ხუთასი მაინც იქნება ჩვენი სოფლიდან! — დაიხვნეშა ვიღაცამ.

მანქანის გასწვრივ ვიღაცის თვალები ღვივოდნენ — ნაკვერჩხლებივით ხან ინავლებოდნენ, ხან ღვივდებოდნენ. შევეცადე, კარგად დამენახა, მაგრამ ვიღაც ჩამეხიდა.

— მსხვერპლი დიდია, მაგრამ გულს ნუ გავიტეხთ, ამხანაგებო!.. დამთავრდა... ომი და ბევრი თქვენგანი გაახარეს შვილისა თუ ქმრის დაბრუნებით! სწავლა, შრომა, ქორწილები და ძეობები! დაუკარით და იმხიარულეთ!

ქიტესა მეგარმონემ, ორი შინმოუსვლელის კუთვნილი ცრემლი თვალის უპეებში რომ ჩაგუბებოდა, საფლავის ქვაზე ფეხი შეაბოტა და ახალი ლაზათით გასწია ძველი გარმონი.

ხალხი მანქანას ნელ-ნელა ჩამოსცილდა და წრეს დაუბრუნდა, მაგრამ მეტი სიხარულითა თუ მწუხარებით გაოგნებულნი, ცეკვას ვეღარ ახერხებდნენ. ბოლოს დაიძახეს, ექიმი, ექიმი! და წრეში ექიმი გამოჩნდა. ვიღაცის ანთებული თვალები კი ხან ღვივდებოდნენ და ხან კი ინავლებოდნენ. გავიხედე და დალის თვალებს წავაწყდი, რომლებიც ჩემს მაღლა იცქირებოდნენ. მაღლა ავიხედე და თავზე ნუგზარი წამომდგომოდა. უზომოდ გამიხარდა ჩემი ნაომარი ძმის დანახვა და მაშინვე მივხვდი, ვისთვისაც ღვიოდნენ ის ნაკვერჩხლები. ექიმმა ნუგზარი შენიშნა და მიუთამაშა.

— მეუხერხულება, ექიმო!

— ყველა შინმოუსვლელის მაგივრად უნდა იცეკვო!

ნუგზარმა უარი ვეღარ უთხრა და მკლავები გაშალა.

შველივით ყელმოღერებული ექიმი მსუბუქად დაცურავდა მწვანიანზე, ნუგზარის მაღლააწეულ მკლავებქვეშ. წრის უკან კი ნირწამხდარი დალი იდგა და მოცეკვავე წყვილს მინავლული ნაკვერჩხლებით მისჩერებოდა. ერთი სული მქონდა, ექიმი წრიდან გამოსულიყო და ნუგზარს საცეკვაოდ დალი გაეწვია. ის ხომ მთელი ომის მანძილზე ნუგზარს ელოდა? მას ხომ ბევრი მთხოვნელი ჰყავდა, მაგრამ არავის მიჰყვებოდა! რა იქნებოდა, ეცეკვნა მაინც?!. მაშინღა ამოვისუნთქე, როცა ნუგზარმა ცეკვა დაამთავრა და სწორედ იქითკენ წავიდა, სადაც დალი იდგა, ხელი მოკიდა, ჩემკენ წამოიყვანა.

— შინ წავიდეთ! — თქვა ორივეს გასაგონად.

შერნერს გერმანიაში „გაჭირვების ტალკვესს“ ეძახდნენ. ჰიტლერი ხშირად აგზავნიდა მას იმ უბანზე, სადაც უჭირდა. შერნერი სარდლობდა არმიათა ჯგუფს „ჩრდილოეთს“, რომელიც გააფთრებით იბრძოდა ბალტიისპირეთში, სათავეში ედგა სარმიო ჯგუფს „ცენტრს“, ომის დასასრულს ყოველნაირად ცდილობდა ეხსნა საბჭოთა ჯარებით ალყაშემორტყმული ბერლინი.

ბევრი ადამიანის წამება და სიხსლი ედო კისერზე ამ გაბღენძილ, გოროზად თავაწეულ ნაცისტს.

შერნერის წინასწარი დაკითხვა პოლკოვნიკმა მიხეილ ჩიქოვანმა ჩაატარა. საბჭოთა ოფიცრის ლოგიკა, არგუმენტები, წარდგენილი ფაქტები იმდენად მტკიცე და უტყუარი იყო, რომ გენერალ-ფელდმარშალი შეცბუნდა, მერე ნელ-ნელა მოტყდა, უმწეოდ დახარა თავი.

გენერალ-ფელდმარშალი შერნერი მალე მანქანაში ჩასვეს და არმიის შტაბში მიიყვანეს, იქიდან კი მოსკოვში გაგზავნეს.

გამარჯვების ზეიმი გრძელდებოდა. დროშებით და ყვავილებით მოფენილ ქუჩებში მოდიმარი სახით დაბიჯებდა 18 ორდენისა და მედლის კავალერი, პოლკოვნიკი მიხეილ ჩიქოვანი, ადამიანი, რომელმაც სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით, თავდადებული და გმირული ბრძოლით თავისი წვლილი შეიტანა დიადი გამარჯვების ამ საერთო ზეიმში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

რობერტ მეგრელიშვილი

ორი უცხოელი

ჩვენი თანამემამულე ალექსი შიუკოვი (შიუკაშვილი) ამას წინათ მოსკოვის მახლობელ აგარაკზე მოვინახულე.

მე უკვე ვიცოდი, რომ ჩემმა მხცოვანმა მასპინძელმა მთელი ცხოვრება სამამულო ავიაციას დაუკავშირა, რომ მას ავიაციის პრობლემატურ საკითხებზე ოცდაათზე მეტი საყურადღებო ნაშრომი ჰქონდა გამოქვეყნებული.

ისიც ვევიტყვე, ალექსი შიუკაშვილი რუსეთის იმპერიაში თურმე პირველთაგანი იყო, რომელმაც საკუთარი კონსტრუქციის საუკეთესო პლანერი დაამზადა.

ამ პლანერის გაშვება 1908 წლის 5 მაისს მოხდა.

თბილისში, მახათის ძირში შეკრებილი ხალხი გაოცებული შესცქეროდა ცაში აჭრილ პლანერს, რომელშიც შავგვრემანი ჭაბუკი იჯდა და ღიმილით უქნევდა ხელს მოზღვავებულ ხალხს.

ამ პირველ პლანერს მეორე გაუმჯობესებული პლანერი მოჰყვა, მეორეს — მესამე და თბილისელმა ჭაბუკმა მალე მთელი თავისი ცხოვრება ავიაციაში მუშაობას, ახალი ტექნიკის ათვისებას, ძიებას, სხვადასხვა რაციონალიზატორული წინადადებების წამოყენებას, ახალგაზრდა კადრების აღზრდას მიუძღვნა.

ჩემი მასპინძელი უკვე ოთხმოცდამერვე წელშია. მხნედ და ხალისიანად გამოიყურება. ნახევარ საუკუნეზე მეტია რუსეთში ცხოვრობს და მაინც შეუცდომლად, იუმორნარევი გამართული ქართულით მესაუბრება.

სადად მოწყობილ, თბილ და მყუდრო ოთახში მოულოდნელად დუმილი ჩამოვარდა.

პატივცემული ალექსი დიდხანს გასცქეროდა უღრუბლო ზეცას, მერე მომიბრუნდა, ფიქრში წასული თვალებით შემომხედა და მშვიდად მიპასუხა შეკითხვაზე:

— დიახ, ვნახე. ორჯერ ვნახე.

მაშინვე ბლოკნოტი მოვიმარჯვე.

— ვლადიმერ ილიას ძე ლენინს პირველად 1918 წლის გაზაფხულზე შევხვდი, — წამოიწყო ალექსი შიუკაშვილმა, — აღარ მახსოვს, რაღაც სამსახურებრივ საქმეზე მე და ავიაციის ინსპექტორი ვასილ იუნგმეისტერი სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ოპერატიულ განყოფილებაში შევედით.

უცებ ვასილმა სახელოზე წამავლო ხელი და უჩვეულო ხმით მითხრა:

— შეხედე, ლენინი!

ფართოდ გამოღებულ კართან ვლადიმერ ილიას ძე იდგა და ვიღაც სამ სამხედროს ემშვიდობებოდა.

ის-ის იყო უკან გამობრუნებას ვაპირებდით, რომ ლენინის ხმა შემოგვესმა:

— ფრონტიდან ხართ, ამხანაგებო?

— დიახ, ამხანაგო ლენინ, — უპასუხა ვასილ იუნგმეისტერმა, — ორივე სამხედრო მფრინავები ვართ. ახლახან ჩამოვედით დასავლეთის ფრონტიდან. მოსკოვში გადმოგვიყვანეს სამუშაოდ.

ლენინი მოგვესალმა და გვკითხა:

— მომიყევით, რა მდგომარეობაა საავიაციო რაზმებში ფრონტზე. ოღონდ მოკლედ და კონკრეტულად.

ჩვენ მოვახსენეთ ლენინს, რომ მტრის ჯარების მიერ მინსკის დაკავების შემდეგ საავიაციო რაზმებმა დიდი მუშაობა გასწიეს. სწორედ ავიაციის დახმარებით მოვახერხეთ ევაკუაციის დროს გადაგვერჩინა თითქმის ყველაფერი, რაც საჭირო და ძვირფასი იყო არმიისათვის.

— დამტვრეული თვითმფრინავებიც კი არ დაგვიტოვებია გერმანელებისათვის, — დავძინე მე.

ვლადიმერ ილიას ძემ კიდევ რამდენიმე შეკითხვა მოგვცა. იგი განსაკუთრებით დაინტერესდა ავიაციის საფრენ-ტექნიკური შემადგენლობის მორალური განწყობილებით.

როცა გვემშვიდობებოდა, ლენინმა წამით შეაკავა ჩემი ხელი თავის ხელში და მკითხა:

— კავკასიიდან ხართ?

— დიახ, ამხანაგო ლენინ.

ვლადიმერ ილიას ძემ მშვიდად წარმოთქვა:

— დადგება დრო და კიდევ მოგიწევთ მშობლიურ მთებზე ფრენა.

ალექსი შიუკაშვილმა „ბორჯომი“ მოსვა და განაგრძო:

— ლენინს მეორედ შევხვდი 1918 წლის 1 მაისს, ხოდინკის მინდორზე მოწყობილი სადღესასწაულო საჰაერო პარადის დროს.

მაშინ უკვე მოსკოვის სამხედრო ოლქის საჰაერო ფლოტის სამმართველოს ოპერატიულ-სამწყობრო და საორგანიზაციო განყოფილების ხელმძღვანელად ვმუშაობდი.

ვლადიმერ ილიას ძე იდგა სამხედრო და სამოქალაქო პირებით გარშემორტყმული და მოთმინებით ელოდა პარადის დაწყებას.

პარადის დაწყება, სხვადასხვა მიზეზების გამო, გვიანდებოდა. მე, როგორც პარადის მომზადების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ძალიან ვღელავდი. ჩემ მღელვარებას ისიც აძლიერებდა, რომ პარადის სარდალი სადღაც გაქრა და არსად ჩანდა.

ბოლოს მოთმინება დავკარგე, ლენინთან მივედი, გავიჭიმე, სამხედრო სალამი მივეცი და მღელვარე ხმით ვუპასუხე:

— ამხანაგო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარევ! იმის გამო, რომ პარადის დაწყება გვიანდება, ნება მოგვეცით, დამსწრეთა გასართობად, საჩვენებელი ფრენა მოვაწყოთ მცირე ხნით.

პატაკი ჯერ დამთავრებული არ მქონდა, როცა ცაში გუგუნით აიჭრნენ ჩვენი თვითმფრინავები.

ნათელი იყო: პარადის სარდალი გამოჩნდა, აღარ დამიცადა და მფრინავებს აფრენის ბრძანება მისცა.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი, ჭირის ოფლმა დამასხა.

— რა საჭიროა ასეთი ოფიციალობა? — უკმაყოფილოდ მითხრა ვლადიმერ ილიას ძემ, — პარადს მე ხომ არ ვსარდლობ? მე მხოლოდ თქვენი სტუმარი ვარ.

ლენინმა გაიღიმა და წარმოთქვა:

— როგორც ხედავთ, ავიატორები ჩემი და თქვენი ნებართვის გარეშეც კარგად დაფრინავენ ზეცაში.

სახეზე ალმური ამდიოდა, ქუდი მოვიხადე და ოფლიანი შუბლი მოვიწმინდე.

ვლადიმერ ილიას ძემ გამომხედა და მაშინვე სითბო შეემატა მის ხმას:

— თქვენ ამას წინათ ოპერატიულ განყოფილებაში განახეთ, არა?

— დიახ, ამხანაგო ლენინ.

— მახსოვს, მახსოვს! ნუ დაიმორცხვებთ, ასეთი რამ ყველას შეიძლება დაემართოს. მიდით ავიატორებთან და ჩემგან საპირველმაისო მილოცვა გადაეცით. უთხარით, რომ დიდად ვაფასებ მათ ოსტატობას.

ვლადიმერ ილიას ძემ ღიმილით გამომიწოდა ხელი.

ალექსი შიუკაშვილი წამოდგა, ფიქრებში წასულმა გაიარ-გამოიარა ოთახში და მერე მითხრა:

— სიხარულით და სიამაყით ამევსო გული, როცა შევიტყვე, რომ საქართველომ ზედიზედ მეშვიდედ დაიმსახურა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა. ძალიან კარგია, რომ ასეთი საჩუქრით ხელდამშვენებულნი შევეგებეთ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების ასმეათე წლისთავის საზეიმო თარიღს.

ირაკლი თოიძის პლაკატი. 1941 წ.

იმ ომის ლექსები

ირაკლი აბაშიძე

კაპიტანი გუსაიძე

მე, ქართველი ბუხაიძე,
ბალეარეთის მთებში ვწევარ...
რომ შემეძლოს საფლავიდან,
ძმებო, მხრების წამოწევა,

მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევწირავდი შობიელ მხარეს,
შევწირავდი ისევ მიწას,
დღეს რომ გულზე დამაყარეს.

ვინც დამხედოთ, გადაეცით
საქართველოს მოებს და ველებს,
რომ მისი ძე, ბუხაიძე,
აქა ვდლტები სისხლის მსმელებს;

არ ვუშვებდი დარიალთან
გაადორებულ ყვითელ ველებს...
მე საფლავში არა ვწევარ,
აქ დარაჯად დამაყენეს.

და ვუბარებ ყოველ ქართველს:
მისი წმინდა ეალი არი —
მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეეკრას
დერბენტი და დარიალი.

1942 წ.

ლურსმანაშვილის გვირგა

იმღერეთ საქართველოში
ლურსმანაშვილის გმირობა;
დეიძლი მოუკლეს ხუთი ძმა,
მამუალს შეჰფიცა პირობა:

— ან მეც მოვკვდები, ან ძმათა
მწყურია სისხლის ალება,
ვანანო გადამთიელებს
მხეცობა, გაეაჩაღება.

მტერს დახვდა კაკაბიოონთან,
ცეცხლს სცემდნენ — არ იხრებოდა,
ბუინავდა — არა სცეოდა,
ლეწავდა — არ იღლებოდა.

ურდო ნახმლეეი, ნალეწი
დეევგმირის მკლავთან სცეოოდა
და ხუთჯერ ათი მტრის ვგამი
დაანწყო კაკასიონთან.

თითო ძმას არგო ათ-ათი,
როგორც შეჰფიცა პირობა,
იმღერეთ საქართველოში,
ლურსმანაშვილის გმირობა.

1942 წ.

გიორგი ლეონიძე

არ დაიდარდო, დედაო...

ღიმილის ბიჭი ვიყავი,
ბეჭზედან არწევი მეხატა,
ცხრამეტი წლისა შევსრულდი,
ოცი არ გადამეხადა,
სამშობლოს დროშა მეკირა,
მტერს ვეცემოდი მეხდა!

ვისაც უნდოდა, ქართველი
რომ გამხდარიყო ხიზანი,
დავკარი, ვიყავ მართალი,
ვით ჩემი ტაეიის მიზანი...

ნუ დაიდარდებ დედაო,
მწარე სიკვდილის სევდასა,
დღეო გადადედი, გადადედი,
შვილი ეყრება დედასა!

არ დაიდარდო დედაო,
რაც მე სიკვდილით გაწყენე;
მე შენი ძუძუს ნათელი
საქვეყნოდ გამოვაბრწყინე.

მე გაგიხუნე ლეჩაკი,
მაგრამ დაგბერე შუკური,
სამშობლოსათვის დავთხოე
სისხლი-ცვარი სიცხაბუკური.

მე არ დამკარგავს სამშობლო,
სულ ვეხსომები ლეკანი,
სანამდის საქართველოში
იწერებოდეს მტეკანი...

მტერთან ჩემ ხიკვდილს ნუ იტკვეთ,
დამალეთ ჩემი სამარი,
თუ მტერმა გკითხოს, უთხარი,
კრემლშია, სტალინთან არი!

და თუ სტალინმა მიკითხოს,
უთხარ, არ იყო ჯაბანი,
აქ ვდგავარ, სადაც ნათობენ
სტალინის მამა-პაპანი!

ცხრა ძმათ მეკითედ მიმიღეს,
პირზე მაყარეს ვარდები,
დაკრილს, დამძრალს და გზადაღლილს
დამბოგრეს მუზარადები.

თუ გაუბერდა სამშობლოს,
კვლავ ცეცხლით დავიდაგებთ,
ჩვენ გამოვამტვრევთ საფლავებს
ხმლითა ქართველის მოებზე დავდგებით.

არ დაიდარდო, დედაო,
ნუ მიეცემი სევდასა.
დღეო, გადადედი, გადადედი,
შვილი ეყრება დედასა!

1944 წ.

ალიო მირცხულავა

სიმღერა გამარჯვებისა

შხამად შეერგოს დედის რძე,
ცოფს ჰყრიდეს პირზეზღვიანი,
დიეცეს, ხანს არ ელოდეს,
ვერ მოირჩინოს ზიანი,
დაძრწოდეს, გზას ვერ იკვლევდეს
გახელებული, ზნიანი,
მეწყვერი წამოეწიოს,
დღე დაუბნელდეს მზიანი;

პურს ჭამდეს, — მიწა ეგრნოს
ყვავ-ყორნის ლეშად ქცეული,
წყალს სვამდეს, სისხლი ეგრნოს
შხამ-გესლად ჩამოქცეული,
იწვოდეს, იტანჯებოდეს,
როგორც ოუდა წყეული,
შეერ-მწყურვალი კვდებოდეს
მეზობლებს გამოქცეული! —

ვინც ფაღალატს სამშობლოს,
დიად საბჭოთა მხარესა,
მთა-გორებს, — ვეფხისტყაოსნებს,
მორთულ-მოფარრულ არეს,
ჩვენს მამულს, — შრომით აღდგენილს,
მშობელოს მზეს და მთვარესა,
ეერმაღალ ცას და ვარსკვლავებს
მოკაშკაშ-მოელვარეს!

წითელი დროშა გაეშალოთ, —
ორბის-ფრთა ნაპრწყლოვანი,
დაეძახოთ ბრძოლის ყიეინა
მრისხანე, ხმაცეცხლოვანი,
მტრებს დავხცხოთ, ქარბუქს მიჰქონდეს
მათი ოხერა და ელოვანი,
კვლავ ვასახელოთ გმირობით
სამშობლო სახელოვანი!

1941 წ.

იოსეგ გრიშაშვილი

ოგრი სიტყვა

მე არ მითქვამს, უკვე ითქვა,
დავიხსოვოთ ორი სიტყვა:
„სამშობლო“ და „გამარჯვება!“
კრემლს დავუდგეთ დარაჯებად!
ღელეს უკვდავ მცენებად რჩება:
„სამშობლო“ და „გამარჯვება!“

ჩემს სამშობლოს მზიანს, მთიანს,
ვამარჯვება მუდამ ჰქვიან,
და რითმების სათვალავში
ორი სიტყვა გვქონდეს თავში,
ორი სიტყვა — ორი შვება —
„სამშობლო“ და „გამარჯვება!“

არ არსებობს სხვა სიტყვები,
მას მივენდე, მას მივუვებ;
სადაც კი ვარ, მზეში, ქარში,
ხმალს არ ვიგებ მე ქარქაშში,
ორი სიტყვა წინ მიძღვება:
„სამშობლო“ და „გამარჯვება!“

1941 წ.

ლექსთა სიმღერები

ილო მოსაშვილი

ფვიდო, სამშობლო გეძახის

შვიდო, სამშობლო გეძახის, —
მტერი დაგვსხმია ვეროგა!
ინკარე, ჩემო ვიკაცო,
ჩაიცვი რკინის პერანგი.

ინკარე, შვიდო, ველიან,
სული ჩაიდგი გმირული.
შავ ზღვას იქიდან თეთრ ზღვამდე
ბრძოლაა თავგანწირული!

წადი, მტრის მიგვიის დაადნე
შენი ნაცადი ფრანგული! —
ისე მლერიდეს ბრძოლაში,
როგორც ქორწილში ჩანგური.

წადი, ქვეყანა გეძახის
და დედის გული გაცილებს:
ახი რომ გკონდეს სიცოცხლე. —
სამშობლოს გაუნწყლე!

ახი რომ გკონდეს დაკრული, —
მაინც გიგრიდეს მახვილი,
გზას განათებდეს ბრძოლაში
დიდი ლენინის სახელი!

თან გაგაყვეს ჩემი სიცოცხლე
და გული იმედმრავალი,
რომ შეგიხვიოს ჭრილობა,
სადაც დაგჭრიდეს ფაშალი!

1941 წ.

რაჟდენ გვეტაძე

ფვირულად ლაღუაულ ფალავფვიანიეს

არ მინახავხარ, ვიკაცო,
ეგაა ჩემი წუხელი,
მაგრამ მომესმა, ვიცანი
მაგ შენი თოფის ქუხილი.

მომესმა შენი გულის ხმა,
დაბადებულო მამაცად;
გიგონეს როგორც ახლოელს,
თითქოს ვარ შენი მამაცა.

მანდ ჩემი შვიდე



▲ დილის სამწყობრო დათვალიერება.

სიმეღლო ცვლა

▲ სკოლის დირექტორი გივი გოგოლიძე (მარცხნივ) და ასეულის მეთაური გიორგი მეტრეველი.

▲ თავისუფალ დროს.

თარხან არჩვაძის ფოტო.

▼ სამხედრო გაკვეთილი.

16.408

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურსანტი ასლან ქორიძე (მარცხნივ) აწყობს საბრძოლო ავტომატს.

აი ეს სახელოთელი, მხედრულად შემართული ჭაბუკები, მომავალი ოფიცრები არიან.

საკლასო ოთახებსა და კაბინეტებში, ვრცელ ეზოსა და ველ-მინდვრებში, ისინი გულისყურით ეუფლებიან სახხედრო მეცნიერებას.

კონსტანტინე ლესელიძის სახელოგის თბილისის სპეციალიზებულ სკოლა-ინტერნატში ვართ.

ჩვენი მეგზურობა სასწავლებლის დირექტორმა პოდპოლკოვნიკმა ბივი გოგოლიძემ ითავა.

სკოლა-ინტერნატის მთელი კომპლექსი დაახლოებით ორმოცდაათ ჰექტარ ფართობზეა გაშლილი. შევდივართ ნათელ, გემოვნებით მოწყობილ საძინებელ ოთახებსა და სამეცადინეო კაბინეტებში, ვათვალიერებთ საჭიდაო დარბაზს, საცურაო აუზს, კლუბს, 360 მოსწავლისათვის გათვალისწინებულ სასადილოს...

ეზოში მოწყობილ ტირთან ბიჭები შეკრებილან. სამიზნეების დაზიანებაში ეჯიბრებიან ერთმანეთს.

სტადიონზე მეცხრეკლასელთა გულშემატკივრები იცინიან. მეათეკლასელთა გულშემატკივრები დუმან: ვერ იქნა, ვერ გაიტანეს საპასუხო გოლი.

დილა.

კურსანტთა ერთი ჯგუფი.

სიცოცხლეს, ხალისს, სანიმუშო წესრიგს დაუსადგურებია ირგვლივ.

სპეციალიზებულ სკოლა-ინტერნატში თურმე რვაკლასდამთავრებულ, საგანგებოდ დარჩეულ ჭაბუკებს იღებენ. ეს ჭაბუკები, ჩვეულებრივ სასკოლო პროგრამასთან ერთად, სამხედრო ხელოვნებასაც ეუფლებიან; გადიან წვრთნას, ეცნობიან ახალ ტექნიკას, გამოცდილი პედაგოგების ხელმძღვანელობით იმაღლებენ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას.

სკოლა-ინტერნატის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში შედიან და საბჭოთა არმიის ოფიცრები ხდებიან.

მოყოლილს საკუთარი თვალით ნანახი სჯობს. ვნახეთ ყველაფერი, დავესწარით მეცადინეობას, გავეცანით მომავლის გეგმებს, ვესაუბრეთ მოსწავლეებს და რწმენა, ასეთი ღრმა რწმენა დაგვეუფლა:

— გამოჩენილი სარდლის, საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის სახელოგის თბილისის სპეციალიზებულ სკოლა-ინტერნატში საიმედო ცვლა გვეზრდება!

ნუნუ კუპრეიშვილი

სკოლის სამხედრო ხელმძღვანელი ასლან ქუმარიტოვი (მარცხნივ) კურსანტებთან.

ქ. ბარძიმის სახ. საქ. სსრ. საბჭოთ...

პეტრე შამათავა

ციხური სქელ პლოშეტზე

ტეხური მხოლოდ სამი კილომეტრის მანძილზე მოედინება ვიწრო ხეობაში.

ასხის მთებში დაბადებული მდინარე თანდათან იკრებს ძალას, ღრმავდება, თეთრად იქაფებს ზვირთებს და შხუილით მიექანება წინ.

მერე ივაკებს ტეხური, მდოვრდება, შენაკადებს ირთავს და ფართო კალაპოტში მხრებგაშლილი უხმაუროდ უეროდება შავ ზღვას.

გადმოგიხედიათ ნოჯიხევის მთიდან სალი კლდეების არტახებში მოქცეული ტეხურისათვის?

გინახავთ დაკბილული ხეობა, ზღაპრული სილამაზით დამშვენებული ლეძაძამე, ბერთემი, ლეგოგიე, ლეცეკკავო, კვაუთი და ლეარზიანე?

ბავშვობაში ჩემთვის ტეხურის პირას ჩარიგებული ამ სოფლების თვალსაწიერით იწყებოდა და აქვე მთავრდებოდა მთელი სამყარო.

არ ვიცოდი, არც მინდოდა გამეგო, რომ ტეხურის მიღმა კიდევ არსებობს უფრო ვრცელი და უკიდეგანო სხვა სამყარო.

არც ის ვიცოდი, ტეხურის პირას ჩვენ დიდ წინაპრებს ლეგენდად ქცეული, მაღალგანვითარებული კულტურის აკვანი რომ დაურწევიათ.

ქვეყანაზე ალბათ, ცოტაა მდინარე, რომელიც ასეთ მცირე მონაკვეთზე — სამ კილომეტრზე, იმდენ სიკეთეს თესავს, რამდენსაც ტეხური.

ტეხურის ხეობა თავისი ბუნებით, ზღვისა და მთის ჰაერის იშვიათი შეზავებით, ზომიერი ტემპერატურითა და მიწის გულიდან ამოჩუხჩუხებული სამკურნალო წყლებით ძველთაგანვე ხიბლავდა ადამიანის გულს.

ვიდრე ბერთემს გასცდება, ტეხური გზადაგზა რწყავს და ანაყოფიერებს სიმინდის ყანებს; გაგანია გვალვაში მაცოცხლებელი ტენით ავსებს ბაღებსა და ვენახებს, ბაღჩებსა და ბოსტნებს.

მოქშუის ტეხური, ატრიალებს წისქვილის დოლაბს, ფქვილად და ღერღილად აქცევს გამრჯე ხელით მოწეულ მარცვალს, მოფართხალე თევზებით ახარებს ჩრდილში მიყუჟულ მოანკესეებს...

სამკილომეტრიან ხეობაში თეთრად აჩქერებულ მდინარეს სიკეთე და შემწეობა შეაქვს ბარკალაიების, ბაღათურიების, გვაძაბიების, გოგინავების, გრიგოლაიების, დავითაიების, კვატიძეების, როგავების, ყველა შრომისმოყვარე ადამიანის სამოსახლოში.

ტეხურის ხეობაში ერთ ადგილს „დედა-მოკა“ ჰქვია. მოკა ანუ მონკა, მეგრულად მძიმეს ნიშნავს. ეს ორი სიტყვა — „დედა-მოკა“ ფეხმძიმე ქალის შეაატყვისია.

სწორედ ამ „დედა-მოკას“ შესახებ ერთი მივიწყებული ლეგენდა მოიძია და გააცოცხლა ჩვენმა სასიქადულო მწერალმა და მამულიშვილმა შალვა დადიანმა.

აი ეს ლეგენდა:

ერთხელ, ძნელბედობის ჟამს, ტეხურის ხეობაში მტერი შეიჭრა.

მომხვდურებმა უმოწყალოდ გააპარტახეს ნათესები, დაარბიეს სოფლები, სანახევროდ გაულიტეს ხალხი.

ერთადერთი იმედი ქუჯის ციხე დარჩა, რომელიც პიტალო მთაზე მტრისთვის მიუწვდომელ სიმაგრედ იდგა.

ერთხელ, ის-ის იყო ირიჟრაჟა, რომ ჩრდილოეთის მხრიდან გამოჩნდა ფეხმძიმე ქალი, რომელიც ხელებგაწვდილი მირბოდა ქუჯის ციხისაკენ.

ჩასაფრებულ მტერს აბა რა გამოეპარებოდა? ატეხეს ყიჟინა, წამოიშალნენ, გაშმაგებულები დაედევნენ ქალს. მტერს, როგორც ეტყობა, გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ცოცხლად შეეპყრო ფეხმძიმე ქალი და უფროსისათვის მიეგვარა იგი.

ქალმა სწრაფად მიირბინა აჩქერებულ ტეხურთან, უმწეოდ ამოიგმინა, მუხლებზე დაემხო და ქუჯის ციხეში აღმართულ წმინდა გიორგის ეკლესიას შემწეობა შესთხოვა.

მოიქუფრა ცა, ატყდა ჭექა-ქუხილი, შეირყა დედამიწა. ტეხური გაშმაგებით ეცა კლდეს, ვეება ლოდები მოგლიჯა, თავის ზვირთებში ჩახერგა და ხიდად გაუდო სასოწარკვეთილ ფეხმძიმე ქალს.

როგორც კი ქალი მეორე ნაპირზე გადავიდა, დაგეშილი მდევრები ყიჟინით მიიჭრნენ მდინარესთან.

ნურას უკაცრავად, ისევ იმძლავრა ტეხურმა, აქეთ-იქით მიყარ-მოყარა ლოდები, სწრაფად გაიფართოვა კალაპოტი და საიმედოდ გადაუჭრა გზა პირში ჩალაგამოვლებულ მტერს.

...საცაა დამთავრდება სამკილომეტრიანი ხეობა. ნელ-ნელა დაბლდება მთები, ნელ-ნელა ფართოვდება კალაპოტი, ნელ-ნელა მდოვრდება მდინარე. აი აქ, ხეობის დასასრულთან სადაც უნდა შეივაკოს მოღლილმა ტეხურმა, ანტიკურ ეპოქაში ყვაოდა ქართული ცივილიზაციის ერთ-ერთი უმძლავრესი კერა — ეგრისი.

უტყვი ტეხური მოწმეა იმ გარდასულ დღეთა დიდების, რომელიც ეგრისმა, მისმა დიდებულმა დედაქალაქმა ციხე-გოჯმა მოიხვეჭეს პირველი ათასწლეულიდან ჩვენი დროის შუა საუკუნეებამდე.

მემატიანე ლეონტი მროველი გვამცნობს, ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის დასაწყისში ფარნავაზ მეფემ ეგრისის ერისთავად დაადგინა ქუჯი, რომელმაც „აღაშენა ქალაქი ციხე-გოჯი.“

ეგრისის სამეფო (ლაზიკა) მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. იგი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა მთელი ქვეყნის საგარეო და საშინაო ცხოვრებაში.

ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი წერდა, რომ ეგრისის დედაქალაქი ციხე-გოჯი „პირველი და უდიდესი ქალაქია ლაზების ქვეყანაში.“

სიცოცხლე ჩქეფდა ციხე-გოჯში. მისი შემოგარენი, გემოვნებით ნაგები მდიდრული პალატები, სხვადასხვა ნაგებობანი თუ მიწისქვეშა ლაბირინთები ჩვენი წინაპრების დიდ კულტურასა და შემძლეობას ღაღადებდნენ.

ქალაქში უმაღლეს საფეხურზე იყო ასული კირით-ხუროობა, მხატვრობა, მწიგნობრობა, ხელოსნობა. ციხე-გოჯი იყო კულტურის მძლავრი კერა, რომელსაც გაცხოველებული სავაჭრო, ეკონომიკური, დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა უცხოეთის მრავალ ქვეყანასთან.

შავი ზღვიდან მოსული მტერ-მოყვარე რიონისა და მისი შენაკადის — ტეხურის მეოხებით ჩადიოდა ეგრისის სამეფოს ხალხმრავალ, მდიდარ და კეთილმოწყობილ დედაქალაქ ციხე-გოჯში.

არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო, რომ ციხე-გოჯი, რომლსაც ახლა ნაქალაქარს (ნოქალაქევს) ვუწოდებთ, თხუთმეტ ჰექტარზე მეტ ფართობზე იყო გადაჭიმული.

იგი შედგებოდა სამი მონაკვეთისაგან: ქალაქის მთავარი ნაწილი ტეხურის სანაპიროსკენ ეშვებოდა, ორი ნაწილი — მთების მოპირდაპირე ფერდობებზე იყო შეფენილი.

ქალაქს ირგვლივ გალავანი ჰქონდა შემოვლებული, შუაში კი — მთის წვერზე, შეუვალი ციხესიმაგრე გადმომდგარიყო.

დასაცავი ზღუდის დაგეგმარება, მასალათა კომპოზიცია, მშენებლობის ტექნიკა ჩვენი წინაპრების საფორტიფიკაციო საქმის დიდ ცოდნასა და ოსტატობაზე მეტყველებს; იმასაც ადასტურებს, რომ ეგრისი ეკონომიკურად ძლიერი და მაღალი კულტურის მქონე სამეფო იყო.

ნაქალაქარში არქეოლოგებმა მიაკვლიეს ტაძარს — სამნავიან ბაზილიკას, რომელიც ერთ-ერთი უძველესი ნაგებობაა დასავლეთ საქართველოში. იგი V საუკუნის ბოლოსაა აგებული.

აღნიშნული ტაძრის კედლების გულმოდგინე გაწმენდის შემდეგ სპეციალისტებმა გამოავლინეს X საუკუნისა და XV-XVI საუკუნეების ფრესკული მხატვრობის საყურადღებო ნაშთები.

დიდ ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ორი უძველესი აბანოს აღმოჩენა. ერთი — დიდი და კაპიტალური ნაგებობა, სამეფო აბანოა, მეორე — უფრო მომცრო, სამოქალაქო დანიშნულებისათვის იყო განკუთვნილი. მათი აშენება V-VI საუკუნეებით თარიღდება.

ნაქალაქარის ქვედა ტერასზე აღმოჩენილია კიდევ ერთი საინტერესო ნაგებობა — კოშკის ნანგრევები. ეს კოშკი, როგორც დადგინდა, ქალაქის ცენტრში განლაგებულ სასახლეს, ტაძარსა და სამეფო კარისთვის აგებულ სხვა დამხმარე ნაგებობებს იცავდა.

საყურადღებო კერამიკულ ნაწარმთან ერთად ციხე-გოჯის ტერიტორიაზე სპეციალისტებმა მიაკვლიეს და დღის სინათლეზე გამოიტანეს მატერიალური კულტურის სხვადასხვა უამრავი ნიმუში.

მიკვლეული მონეტებიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს სამეფო უბნის კოშკში ნაპოვნი ბიზანტიის იმპერატორ მავრიკის (582-602 წწ.) სახელით მოჭრილი 23 ოქ-

აკაკი გეწაძე,

დიდი სამამულო ომის მონაწილე.

ფარაჯიანი ლექსები ჟიჟიჭეკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი. 1945 წ.

„სიცოცხლე სუნთქავდა მიწისქვეშ", — თქვა ახალგაზრდა პოეტმა-ჯარისკაცმა და ერთ სტრიქონად გამართული ამ სამი სიტყვით დახატა ომის დიდი სურათი. ამ სტრიქონის მიღმა ვხედავთ: სანგრები სავსეა ჯარისკაცებით, ტრანშეებში მიმოდიან მეომრები, ძელმინურებში ფხიზლობენ ფარაჯიანი მებრძოლები. სიკვდილის ჯოჯოხეთურ ორომტრიალშიც სუნთქავს სიცოცხლე.

ეს ალალმართალი სტრიქონი ოცმეთაურმა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა იღაღადა, მეომარმა, რომელიც დენთის კვამლში გახვეულ გზაზე ბერლინისაკენ იჩქაროდა და ასე უახლოვდებოდა თბილისს.

ომის ძნელბედობის ჟამმა ახალგაზრდა პოეტს ჯარისკაცის ფარაჯა ჩააცვა და კალამთან ერთად ხელში თოფიც დააჭერინა; ივრის ჭალაში გაზრდილი ჭაბუკი ცეცხლოვან დღეთა სრბოლას ფეხდაფეხ გაედევნა და თავის ნალმმტყორცნელთა ოცეულთან ერთად შორეულ ვისლასთან მივიდა, იმ ვისლასთან, ყმაწვილს მხოლოდ რუკაზე რომ ენახა.

წინ ისევ ბრძოლით გასავლელი გზა ედო.

მიდიოდნენ და მიდიოდნენ ქართველი ლეიტენანტის ჯარისკაცები. რაც უფრო დამოკლდა მანძილი ბერლინამდე, გზაზე გახშირდა ჩაჭყლეტილი და ტყვიით დახვრეტილი სვასტიკიანი მუზარად-ჩაჩქნები, გამრავლდა დაყრილი ჩექმების ლანჩები, რომელთა ჟანგიანი ლურსმნები ქაჯის კბილებივით იმზირებოდნენ. ომი შინ ბრუნდებოდა, იმავე ბუნაგში, საიდანაც აღმოსავლეთისკენ გამოეშურა „ჰაილ ჰიტლერის" ძახილით.

ბრძოლით მიადგნენ გერმანიას.

ოდერზე გადასვლისას ნალმის ნამსხვრევმა ლეიტენანტ ჯანგულაშვილს მხარზე გადაკიდებული საველე ჩანთა შეაწყვიტა და ამ ჩანთამ ბალტიის ზღვისაკენ გაცურა.

მტერმა შეუპოვრად მოიერიშე ჭაბუკს სიცოცხლე ვერ მოუსპო, მაგრამ სიცოცხლისა და გულის ნაწილი კი წაართვა: სწორედ იმ ჩანთაში ედო სანგრებსა და ტყვიის ცეცხლში დაბადებული ფარაჯიანი ლექსების რვეული.

ომში, სადაც სიცოცხლესაც კი ხშირად ადვილად კარგავენ, ასეთი რამის სადარდებლად დიდხანს ვისა სცალია. მართალია, ჩანთამ გაცურა, მაგრამ მისი პატრონის გულში დაბუდებული მრისხანებისა და სიკეთის ლექსები ისევ ცოცხლობდნენ და ლეიტენანტს ბოროტებასთან საბრძოლველად აღაგზნებდნენ.

იმ წელს სილეზიაში უჩვეულო თოვლი მოვიდა.

გზაზე ეყარა ფაშისტი გენერლების სამხრეები და... საბჭოთა ჯარისკაცებსაც რა ექნათ, ზედ მიაბიჯებდნენ. ესესელებმა მოუხშირეს ძახილს „ფიურერ კაპუტ!" ისინიც კი სწყევლიდნენ და აგინებდნენ თავიანთ ღმერთს — ფიურერს, ახლაღა ნანობდნენ, რომ დაუჯერეს ამ გიჟს. შელანძღულ პერანგებს ხიშტებზე საზეიმო დროშასავით აფრიალებდნენ, აქაოდა, ნუღარ გვესვრით, გნებდებითო.

ქართველი ლეიტენანტი გერმანიის მიწაზე გამარჯვებული მიაბიჯებდა და იგონებდა: თითქმის ორი საუკუნის წინათ აქ რომ იდგა ჰუსარი დავით გურამიშვილი და ამაყად ამბობდა, — პრუსიის კოროლს შევუნგრიეთ ტახტის სვეტიო.

თითქოს აქ შეხვდა ერთმანეთს ორი ქართველი პოეტის სული. დავით გურამიშვილი ხომ სწორედ ის მწერალია, რომელმაც თავისი დროის ქართველი კაცის სულიერი განწყობილების მრავალი, დოკუმენტურად სარწმუნო ლექსი დაგვიტოვა. მისი წიგნი, „დავითიანი" რომ დაკარგულიყო, წარმოიდგინეთ, რამდენი ცოცხალი ამბავი და სურათი მოაკლდებოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიას. თეიმურაზ ჯანგულაშვილის ომისდროინდელი პოეზიაც, ამ თვალსაზრისით, დავით გურამიშვილის შემოქმედებას ენათესავება. მისი პირველი წიგნი „1945" დიდ სამამულო ომში მყოფი ქართველი კაცის სულიერი განწყობილების უტყუარი და მართალი დოკუმენტია (რა თქმა უნდა, მხატვრული სახეებით გაცოცხლებული), ახალგაზრდა პოეტის მთელი თაობის სულიერი ბიოგრაფიის ღაღადისიცაა, ამიტომაც მჯერა, ამ პოეზიას ყავლი არასდროს გაუვა, არც გახუნდება.

ჩვენი დრო-ჟამის ამსახველი მხატვრული დოკუმენტია თეიმურაზ ჯანგულაშვილის შემდგომი შემოქმედებაც, ის მრავალი წიგნი, რომლებშიაც პოეტურად აისახა მშვიდობიანი ნლები, ქვეყნის აღმშენებლობითი პათოსი და პატრიოტული შემართება, ომგადახდილ ადამიანთა ფიქრი და საქმე. ამ წიგნებმა კიდევ უფრო გაამრავალფეროვნა თეიმურაზ ჯანგულაშვილის შემოქმედება და იგი პოეზიის ფართო გზაზე გაიყვანა.

აქვე უნდა შევეხო ერთ მტკივნეულ საკითხსაც.

ზოგიერთი ჩვენი ლიტერატორი ხან შეფარულად, ხანაც აშკარად ერთმანეთს უპირისპირებს ფრონტელ პოეტთა ომისდროინდელ თუ შემდგომი ცხოვრების ყოველდღიურ საჭირბოროტო თემებზე დაწერილ და სხვა პოეტთა ეგრეთ წოდებულ მარადიულ თემებზე დანერილ ნაწარმოებებს. ამგვარი ყაიდის ლიტერატორები თავისებურ უნდობლობას უცხადებენ იმ მწერლებს, რომლებიც ცხოვრებისეულ აქტუალურ ამბებს ხშირად ეხმიანებიან, მათში ჭეშმარიტ პოეზიას ვერ ხედავენ, აქაოდა, ასეთი ლექსები მალე კვდება ან ხუნდებაო, ნამდვილი პოეზია მხოლოდ მარადიული თემებით საზრდოობსო.

ამგვარი მსჯელობა ცალმხრივია. კი, ბატონო, დიახაც კარგია მარადიულ თემაზე დაწერილი ლექსი, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ბოლო ხანს მოგვიხშირდა მარადიულ თემისქვეშ შემალული უსულგულო, ცარიელი ლექსები?

ცხოვრების ცვალებადობა, ისევე როგორც ბევრ სხვა რამეს, ყოველდღიურ საჭირბოროტო თემაზე დაწერილ ზოგ ლექსსაც მართლაც ახუნებს და დრო-ჟამის სასაფლაოზე მარხავს კიდეც, მაგრამ იმ ლექსთაგან განა ბევრი იმ ჯარისკაცივით არაა, ბრძოლის ველზე ნაომარი და ვალმოხდილი რომ დაეცა?

ეს საკითხი აქ იმიტომ წამოვჭერი, რომ იგი თეიმურაზ ჯანგულაშვილსაც ეხება.

გარბის დრო-ჟამი. თეიმურაზ ჯანგულაშვილი დღეს ომის ვეტერანია, მაგრამ პოეზიაში იგი კვლავ ჭაბუკობს, რადგან მისი მართალი ლექსი მუდამ სავსეა ყოველდღიური სასიცოცხლო ძალღონით და მებრძოლი სულით. ფარაჯიანმა ლექსებმა დაღლა არ იციან, ისინი კვლავ და კვლავ მიაბიჯებენ პოეზიის ჭეშმარიტ ნათელ გზაზე.

როს მონეტა, ოქროსა და სპილენძის სხვა უძველესი მონეტები.

ციხე-გოჯის ისტორიის კვლევა-ძიება გრძელდება. ვინ იცის, კიდევ რა სიახლესა და დღემდე ამოუცნობ საიდუმლოს მოჰფენს შუქს ეს მეცნიერული კვლევა-ძიება?

ერთი რამ ცხადია, რაც უკვე მიკვლეულია, რაც უკვე ხელთა გვაქვს — ნათლად მეტყველებს ეგრისის სიძლიერეზე, მის მაღალგანვითარებულ ცივილიზაციაზე, უცხოეთის ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობაზე.

აჰა, დამდავრდა სამკილომეტრიანი ხეობა.

თითქოს მოიღალა, თითქოს გარდასულ დღეთა მოგონებამ ჩააფიქრა, ისე მდოვრედ და უხმაუროდ მოედინება ტეხური.

უკან დარჩა სალი კლდეების არტახები, უკან დარჩა „დედა-მოკას" გადასარბენი, სანახევროდ გაცოცხლებული ციხე-გოჯის დიდებული ისტორია.

წინ სწორი და დაცემული ვაკეა. მოედინება მოღლილი, სიკეთის მთესავი ტეხური და მოსასვენებლად მიეშურება შავი ზღვისაკენ.

არა, ნამდვილად, ალბათ ძალზე მცირეა ქვეყანაზე სამი კილომეტრის მანძილზე ამდენი სიკეთის მთესველი სხვა მდინარე!

ვოლგოგრადელი გენო ენუქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშანგი ბედია

ახალგაზრდა კაცი მამაის ყორღანზე გაჩერდა, პიჯაკი გაისწორა და მემორიალისკენ ნელი ნაბიჯით გასწია.

ისმის რექვიემი.

თვალზე ცრემლი მადგება, მესმის „კატიუშების“ ზუზუნი და ჯარისკაცთა თავგანწირული შეძახილები.

— ეს იქნებ ერთი მათგანის ხმაა, ვინც აქ განისვენებს? — ვთქვი და ის იყო უკან უნდა გამოვბრუნებულიყავი, რომ შემომესმა:

— ქართველი ხართ?

მივიხედე. ჩემს უკან ის კაცი იდ[illegible] რომელმაც [illegible] რამდენიმე წუთის წინ მემორიალზე ყვავილები დააწყო.

— დიახ! — [illegible]პასუხე.

— საქ[illegible]ველო... — ჩაილაპარაკა და ფიქრებს მიეცა. გაკვირვებით ვუყურებდი კაცს, [illegible] ჩემს წინ იდგა და ხმას არ იღებდა; გულმა ვეღარ მომითმინა და ვკითხე.

— თქვენ საიდან ბრძანდებით?

კაცმა თავი მაღლა ასწია და ისევ წმინდა რუსულით მითხრა:

— მეც ქართველი ვარ, მხოლოდ ქართული არ ვიცი! — შემომხედა, ალბათ უნდოდა გაეგო, რას ვიტყოდი.

— დავიჯერო, ქართული სულ არ იცით?

— არა, არ ვიცი. მეც შინმოუსვლელის შვილი ვარ, — ხმადაბლა დაიწყო კაცმა, — ვოლგოგრადში ვცხოვრობ. პატარა ვიყავი, როცა მამა ჯარში გაიწვიეს...

ისევ გაჩუმდა, თვალი გადაავლო ვრცელ მინდორს, მერე მდინარე ვოლგას გახედა, თითქოს სურდა, წუთით მაინც მეხსიერებაში აღედგინა მამის ძვირფასი სახე.

— გვარად ენუქიძე ვარ! — თქვა და ცას შეხედა, — გენადი მქვია.

— ქართულად გენო, არა?!

კაცს გაუხარდა:

— კარგი, გენო დამიძახეთ, — მითხრა და მთხოვა, — აქ ახლოს ვცხორობ, წამოდით, ჩემს ვაჟს ანდრიას გაგაცნობთ, შვიდი წლისაა და უკვე კრიზეზე დადის.

ალბათ შვილს პაპის სახელი თუ დაარქვა-მეთქი, გავიფიქრე და ცნობისმოყვარეობით ვკითხე:

— მამათქვენს რა ერქვა?

— ვლადიმერი. მამა ზესტაფონიდან იყო, — მითხრა გენადიმ, — მეუღლე ხშირად მეტყვის ხოლმე, მანქანა გვყავს, წავიდეთ, საქართველო ვნახოთ, იქნებ მამის ნათესავებიც მოვძებნოთო. წელს უსათუოდ ჩამოვალ საქართველოში! — მტკიცედ თქვა გენადიმ და შეხედა ბავშვს, რომელიც ყვავილებით ხელში მამაის ყორღანზე მოაბიჯებდა. ბავშვმა ყვავილები საძმო საფლავზე დადო, მერე დედას ხელი ჩაჰკიდა და ხტუნვა-ხტუნვით გაჰყვა. გენადიმ ბავშვს თვალი ისე გააყოლა, თითქოს მისი ბავშვობა მიდიოდა ხელჩაკიდებულ დედასთან ერთად. გენადიმ ამოიოხრა და ცას ახედა. ცაზე ჩიტები დანავარდობდნენ. დიდხანს უყურა ჩიტებს, მერე მე მომიბრუნდა:

— ხედავთ, რა ამბავი აქვთ, გაზაფხულის ყვავილებივით არიან მოფრენილები...

გენადი ვიღაც ქალს გაესაუბრა. თვალი მოვარიდე და ნელ-ნელა გავყევი გზას. გენადი წამომეწია.

— გაიცანით, ჩემი მეუღლეა, ნადეჟდა ენუქიძე, პედაგოგი, — მაცნობს გენადი, — იცოდა აქ რომ ვიქნებოდი და ამომაკითხა.

გავეცანი. იგი თბილი და კეთილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. გზას მივყვებით.

— ბევრს ეცადა გენადი, — ამბობს ნადეჟდა, — მაგრამ მამის საფლავს მაინც ვერ მიაგნო. დარდი რომ გაექარვებინა, ადგა და მამაის ყორღანზე ერთი ადგილი მამის საფლავად მიიჩნია. — ნადეჟდა გაჩუმდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლები მოიწმინდა.

გენადის შევხედე, თვალები ნაღვლიანი ჰქონდა. გამახსენდა სევერიან ისიანის სიტყვები: „რა ვუყოთ, ომში ბევრი წასულა, მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება?!“.

* * *

— ქარხნის კედლები ჯერ არ იყო დამთავრებული, გენადი დნეპროპეტროვსკის სამთო-მეტალურგიული ტექნიკუმიდან რომ მოვიდა და ელექტროზეინკლად დაიწყო მუშაობა, — ამბობს ვოლჟსკის საბურავების ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანი, — ბევრმა ჩვენმა მუშა-მოსამახურემ იცის შრომის ყადრი, პატივსა სცემს კარგ ოსტატსა და სპეციალისტს: ერთი ასეთი ავტორიტეტული პიროვნებაა გენადი ენუქიძე. იგი ბევრჯერ იყო არჩეული საამქროს პროფკავშირის კომიტეტის წევრად, მისი სურათი ამშვენებს ჩვენი ქარხნის საპატიო დაფას! — პარტორგანიზაციის მდივანი უცებ გაჩუმდა.

— კრივონოსოვ! — დაუძახა ვიღაც კაცს, რომელსაც ხელში ქაღალდის გრაგნილი ეჭირა და საამქროსაკენ მიიჩქაროდა, ხელით ანიშნა, აქეთ მოდიო. იგი მოგვიახლოვდა. შემათვალიერა.

— საწარმოო საამქროს უფროსი ინჟინერი ვლადიმერ ანდრიას ძე კრივონოსოვი! — თავს მაცნობს იგი და ხელს მართმევს.

— ვლადიმერ ანდრიას ძე, ამხანაგს სურს, გენადი ენუქიძეზე დაწეროს. რას იტყვი?

კრივონოსოვს სახეზე შეეტყო, რომ გაუხარდა. ვიფიქრე, რაკი ვლადიმერ ანდრიას ძე საწარმოო საამქროს უფროსი ინჟინერია, ალბათ, გენადის შრომით საქმიანობაზე რაიმეს მეტყვის-მეთქი და საწერად მოვემზადე.

— ჩვენ ახლა სისხლით ძმები ვართ, — დაიწყო კრივონოსოვმა, — გენადი ვლადიმერის ძემ ისეთი სიკეთე გამიკეთა, სამაგიერო რითი გადავუხადო, არ ვიცი.

გაახსენდა ამ რამდენიმე წლის წინ ავარიაში რომ მოჰყვა; თავის ქალის გატეხილობამ არტერია დაუზიანა, სასწრაფოდ სისხლი იყო გადასასხმელი...

— როგორც კი მოვჯობინდი, ვიკითხე, ვის სისხლს მისხამდნენ, — განაგრძობს კრივონოსოვი, — როცა მითხრეს, გენადი ენუქიძისასო, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ახლა ჩვენ სისხლით ძმებს გვეძახიან.

გენადი ვლადიმერის ძის შესახებ ბევრი იწერება. ჟურნალმა „სოვეტსკი კრასნი კრესტმა“ ჯერ კიდევ 1973 წლის მეთერთმეტე ნომერში დაბეჭდა წერილი სათაურით: „ჯარისკაცის შვილი“, სადაც მოთხრობილია გენადის კარგ ადამიანობაზე, კაცთმოყვარეობაზე. შინმოუსვლელის შვილს ბევრი ამხანაგი და მეგობარი გაუჩდა. სთხოვენ ფოტოსურათებს, წერენ წერილებს. გენადის მკერდს ამშვენებს სსრ. კავშირის დონორის კავალერის ნიშანი.

წამოსვლისას გენადი ვინახულე. შაბათი იყო და სათევზაოდ ემზადებოდა, რომ დამინახა, გაუხარდა.

— კარგია, შინ რომ მეწვიე, — ანკესი გვერდზე გადადო, სუფრის გასაშლელად დაფაცურდა.

ვოლგოგრადი.

გარეკანის პირველ გვერდზე: „გამარჯვება“. ავტორი — საქართველოს სახალხო მხატვარი რ ო ბ ე რ ტ ს ტ უ რ უ ა

კორექტურული შეცდომის გასწორება

ჟურნალ „დროშის“ 1980 წლის მეოთხე ნომრის მერვე გვერდზე მოთავსებული სტატიის სათაური უნდა იკითხებოდეს: ნორჩი ლენინელები.

გადაეცა ასაწყობად 16/IV-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/V-80 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,2, ტირაჟი 56350, შეკვ. 1116, უე 00656. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке). Издательство ЦК КП Грузии

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთავარი რედაქტორის—99-54-66, მ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობის მექანიზატორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ცისანა თალაკვაძე.

მიხეილ კვირიკაშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ. 20/6

თარხანი. არჩვაძის ფოტო.

გაზაფხული.

ინდექსი 76056